ყველაზე ბევრია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№128 (884) 4 - 5 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ახალი სისხლიანი კვირაბის ბედისწერა“

ანატოლი სობჩაკის წიგნის „თბილისის ჟამცეხილი ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა“ პრეზენტაცია კიევის მიდიონიანი საპროტესტო აქციის ფონზე

გვ. 3

SOS საფრთხე!

გენმოდიფიცირებული პროდუქტის სკანდალური შავი სია

გვ. 5

Greenpeace-მა გმო-ს მწარმოებლების ჩამონათვალი განაახლა

ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრთან

ირაკლი ალასანია: „რაც უფრო ვუახლოვდებით ევროპას, იზრდება ცდუნებაც, ქვეყნის შიგნით წყალი აგვიმღვრიონ და განხეთქილების ინსპირირება სცადონ!“

გვ. 2

ექსკლუზიური ინტერვიუ გენერალ-მაიორ ავთანდილ ცქიტიშვილთან

რა ცვლილებები იგეგმება ვეტერანთა დეპარტამენტში და როგორ აფასებს ქართულ ჯარს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, პირველი გენშტაბის უფროსი

გვ. 6

სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ბიზნესმენს საქართველოს პარლამენტის წევრი თემურ ფეიქრიშვილი აშანტაჟებდა?!



როგორ ჩაიგდო ხელში დაბა წავკისის მიწის ნაკვეთები, რატომ უქმნის მრავალმილიონიან პროექტს საფრთხეს და რატომ შეჰყავს შეცდომაში ეკა ბესელია გარდაბნის მაჟორიტარს?

გვ. 4

უკრაინა ახალი რევოლუციის მოლოდინში

ოპოზიცია ვიქტორ იანუკოვიჩის გადადგომასა და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს!

ირაკლი ალასანია: „რაც უფრო ვუახლოვდებით ევროპას, იზრდება ცდუნებაც, ქვეყნის შიგნით წყალი აგვიმღვრიონ და განხეთქილების ინსპირირება სცადონ!“

ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრთან

რუსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ კიევის მაიდანზე მიმდინარე მოვლენები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე ნეგატიურ გავლენას ვერ მოახდენს, პირიქით, უკრაინის ევროპულ ოჯახში გაწევრიანების მტკიცედ სჯერა. მთავარ საფრთხეს ქვეყნის შიგნით, მარგინალურ ძალებში ხედავს და აცხადებს, რომ შესაძლოა, გარკვეულმა ჯგუფმა ქართველების დასავლეთისადმი არსებული განწყობის შეცვლა სცადონ. რას უნდა ველოდეთ მომავალი ერთი წლის განმავლობაში ჩრდილოელი მეზობლისგან და რა ბერკეტი აქვს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ, ამასთან, როგორ აპირებს „გავლენის აგენტებთან“ ბრძოლას, „ვერსიას“ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ესაუბრა.

— უკრაინა ჩვენი სტრატეგიული მეგობარია და ევროპის სრულფასოვან ოჯახში მისი გაწევრიანება როგორც რეგიონის, ასევე საქართველოს ინტერესებში შედის. ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და ქართველმა ხალხმაც დიდი ხანია დასავლური კურსი აირჩია, ამიტომ კიევში მიმდინარე მოვლენები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე უარყოფითად ვერ აისახება. დასანანია, რომ უკრაინის ხელისუფლებამ ევროკავშირის მიერ მიცემული შანსი ვერ გამოიყენა, თუმცა დარწმუნებული ვარ, დღეს თუ არა ხვალ, უკრაინა ევროპის ნაწილი აუცილებლად გახდება. სხვა არჩევანი არც უკრაინას და არც ევროპას არ აქვს.

— თუ უკრაინაში ევრორევოლუცია არ მოხდა და ამჟამინდელმა ხელისუფლებამაც ევროპასთან მიმართებაში პოზიცია შეინარჩუნა, საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობა კვლავ მეგობრულ ფორმატში გაგრძელდება?

— თუ უკრაინის ამჟამინდელმა მთავრობამ ევროპაზე დროებით უარი განაცხადა, მომავალი ხელისუფლება ამ შანსს აუცილებლად გამოიყენებს. რაც შეეხება საქართველოსა და უკრაინას შორის ორმხრივ ურთიერთობებს, ჩვენ უკრაინელი საზოგადოების მიერ არჩეულ პოლიტიკურ ლიდერებს პატივს ვცემთ. შესაბამისად, მოვლენები რა მიმართულებითაც უნდა განვითარდეს, საქართველოსა და უკრაინას შორის კავშირი მყარი იქნება და ჩვენი სტრატეგიული ურთიერთობა მომავალშიც ამ ფორმატში გაგრძელდება.

— უკრაინასა და ევროკავშირს შორის შეუთანხმებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ყოფილი პრემიერის, იულია ტიმოშენკოს პატიმრობა გახდა, საქართველოს ხელისუფლებამაც სწორედ ვანო მერაბიშვილის პატიმრობის გამო მიიღო შენიშვნა. ევროპის მხრიდან იგივე წინაპირობის დაყენების შემთხვევაში, ქართული მხარე ყოფილი პრემიერის გათავისუფლებას დათანხმდება?

— ის ფაქტი, ევროპა ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებას ამ ეტაპზე რომ არ ითხოვს, ნიშნავს, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი პოლიტიკური ნიშნით არ გახლავთ დაკავებული. მისი გათავისუფლების წინაპირობა ქართული მხარისთვის ევროპას არ დაუყენებია, ამიტომ ტიმოშენკოსა და მერაბიშვილის ფაქტების შედარება აბსოლუტურად არასწორია.

— პარაფირების ხელმოწერამდე საქართველოს წინ საკმაოდ მძიმე ერთი წელი ელის. უკრაინის ფონზე, რამდენად მზადაა ქართული მხარე, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ ზეწოლას ადეკვატურად უპასუხოს?

— სამხედრო აგრესიის საფრთხეს ნამდვილად ვერ ვხედავ. საქართველოს მთავრობას რუსეთთან მიმართებაში საკმაოდ პრაგმატული პოზიცია აქვს — რიტორიკული, ემოციური და იმპულსური განცხადებებით პროვოკაციულ ნაბიჯებს არ უნდა ავყვეთ. მსგავსი მიდგომა საქართველოს მოწიფულ ქვეყნად, რუსეთს კი არასტაბილურ სახელმწიფოდ წარმოაჩენს. შესაბამისად, მსგავსმა პოლიტიკამ მსოფლიოს დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვალა — ახლა ქართველები წელში გამართულები და გონიერები ვჩანვართ, ჩვენი ოპონენტი კი სუსტი, რადგან ვითარების შეცვლას მუდმივი პროვოკაციებით ცდილობს.

— თუმცა ფაქტია, რუსეთს ხელისუფლების ახალი სტრატეგიაც არ აფერხებს და ამ წუთებშიც ე.წ. საზღვართან სადემარკაციო სამუშაოები მიმდინარეობს. თმენის რეჟიმში მომუშავე საქართველოს მთავრობა რა შედეგამდე მიდის?

— თუ პროვოკაციებს არ წამოვეგებით, რუსეთი სწრაფად მიხვდება, რომ მისი მეთოდები საქართველოს წინააღმდეგ ფუჭია. როცა ევროპა საქართველოს მიმართულებით შემხვედრ ნაბიჯს გადმოდგამს, რუსეთიც საუბრის ტონს შეცვლის, ამიტომ გზა, რომელიც ევროკავშირსა და ნატო-ს სამიტებამდე გვაქვს გასავლელი, დანაღმულ ველზე სიარულს ჰგავს. არსებობს საფრთხე, გარკვეულმა ძალებმა, ქვეყნის შიგნით, ნატო-სა და ევროკავშირის მიმართ მოსახლეობის სკეპტიკური და კრიტიკული დამოკიდებულების გაღვივება სცადონ. მსგავსი მცდელობა მაისსა და ივნისშიც იყო, როცა ჩვენი გმირი სამხედროები ავღანეთის საბრძოლო მოქმედებებში ტრაგიკულად დაიღუპნენ. თუმცა საზოგადოების ნება მაშინ იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ ამ ძალებმა ვითარების გამოყენება სათავისოდ ვეღარ მოახერხეს.

— საზოგადოების ნაწილი პარაფირების დოკუმენტის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი, უშიშროების ექსმინისტრი ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ ევროპა გვამასხარავებს, რადგან თუ ევროკავშირს საქართველოს ინტეგრირების სურვილი რეალურად აქვს, პარაფირება და ერთწლიანი პირობები საჭირო არ იყო.

— ევროპის ნაწილი ერთ წელიწადში არც ერთი ქვეყანა არ გამხდარა. პარაფირება მომავალი წლის სექტემბერში გაფორმდება და ევროპასთან ურთიერთობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. ჩვენს თანამოქალაქეებს ექნებათ მეტი შესაძლებლობა, საქართველოში წარმოებული პროდუქცია ევროპის ბაზარზე გაიტანონ, თავისუფლად გადაადგილდნენ და ყველა სიკეთით ისარგებლონ, რასაც თანამედროვე ევროპა გვთავაზობს.

> **გარკვეული ელემენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ფხიზლად უნდა ვიყოთ, რათა საზოგადოებაში მსგავსი დებატები ხელოვნურად არ შემოიტანონ. ბუნებრივია, განსხვავებული აზრი ყოველთვის იარსებებს, მაგრამ არაკეთილმოსურნე სახელმწიფოების მიერ მართვადი და სტიმულირებული პროცესი, ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით, არ უნდა დაიწყოს. არავის უნდა მივცეთ მცირე შანსიც კი, ქვეყნის შიგნით მსგავსი იმედგაცრუება და სკეპტიკური დამოკიდებულება ჩვენს წინააღმდეგ პოლიტიკური ზეწოლის მანქანად აქციოს. მსგავსი გავლენის აგენტებს ზრდის შესაძლებლობა შესაბამისმა სამსახურებმა არ უნდა მისცენ.**

— გავლენის აგენტებთან ბრძოლას ლუსტრირებით აპირებთ, რომლის ინიციატივაც ვახტანგ მაისაიამ გააჟღერა?

— ვახტანგ მაისაიას ინიციატივასთან კავშირი არ გვაქვს. არსებობს სპეციალური სამსახურები, მათ შორის, კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელმაც ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურად უნდა იმუშაოს. როცა გავლენის აგენტებზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ იმას, რომ საზოგადოების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური ძალების ნება ევროპული ინტეგრაციის გზაზე ურყევი უნდა იყოს. რაც უფრო ვუახლოვდებით ევროპას, იზრდება ცდუნებაც, რომ ქვეყნის შიგნით წყალი აგვიმღვრიონ და განხეთქილების ინსპირირება სცადონ. 90-იანი წლების დასაწყისშიც სწორედ ასე მოხდა.

— ერევანში პუტინის ვიზიტის შემდეგ, ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინის შემდეგ კავკასიის მოიცალა და რეგიონში ვითარების დაძაბვა გამორიცხული არ არის.

— რუსეთს ჩვენს წინააღმდეგ მცირე ბერკეტები გააჩნია, რადგან უკრაინისგან განსხვავებით, მასზე ეკონომიკურად დამოკიდებულნი არ ვართ. თანაც ჩვენს წინააღმდეგ რუსეთმა ყველა შესაძლო პოლიტიკური თუ სამხედრო ბერკეტი უკვე გამოიყენა. რაც შეეხება სომხეთში პუტინის ვიზიტს, ერევანი და მოსკოვი სტრატეგიული პარტნიორები არიან, მსგავსი ვიზიტები ადრეც გვინახავს და ამიტომ არ მგონია, მას განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდეს. გარდა ამისა, სომხეთთან კეთილმეზობლური და ისტორიული ურთიერთობები გვაქვს, რომელზეც ნეგატიურ გავლენას ვერავინ მოახდენს.

— ცნობილი გახდა, რომ საქართველო ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში ჩაერთვება. რა კონკრეტული შედეგის მომტანი იქნება ეს საქართველოსთვის, მით უმეტეს, ჩვენი ჯარისკაცები აქტიურად არიან ჩართულნი ნატო-ს სამშვიდობო მისიებში?

— ევროკავშირმა საკუთარ უსაფრთხოებასა და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობებზე ფიქრი სერიოზულად დაიწყო, რადგან როცა მალისა და სხვა აფრიკულ ქვეყნებში ევროპის მხრიდან სწრაფი რეაგირების საჭიროება დადგა, ევროკავშირი ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. შესაბამისად, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ჩამოყალიბდა. საქართველოს ევროპაში იმდენად მაღალი ნდობა აქვს, რომ მასში ჩართვა ჩვენც შემოგვთავაზეს. მალე დაიწყება მოლაპარაკებები, თუ სად შეიძლება საქართველოსნაირმა ქვეყანამ თავის ნიშა მოძებნოს. როდის დასრულდება ეს პროცესი, არ ვიცი, თუმცა საქართველომ პოლიტიკური ნება უკვე დააფიქსირა. თუ ევროკავშირის წევრობა გვინდა, მისი უსაფრთხოების კუთხითაც კონტრიბუცია მოგვიწევს, რაც საბოლოოდ, ევროკავშირში გაწევრიანებამდე მიგვიყვანს. წლების განმავლობაში ევროპისთვის მხოლოდ მომხმარებლები ვიყავით. 2008 წლის ომის შემდეგაც დასავლეთმა 4,5 მილიარდი გამოყო, რათა საქართველოს ეკონომიკა არ განადგურებულიყო და ქართველებს ცხოვრების გაგრძელება შეგვძლებოდა. მეგობრობა ყოველთვის ორმხრივია, ამიტომ შეგნებული პოლიტიკური ნაბიჯი უნდა გადავდგათ და ევროატლანტიკურ სივრცეს წესრიგის დაცვაში დავეხმაროთ. ეს სწორი პოლიტიკაა, რომელიც საქართველოს საბოლოოდ სანდო პარტნიორად აქცევს. საზოგადოებაში მსგავსი კითხვების არსებობას სრული უფლება აქვს, ნებისმიერ სკეპტიკოსს დავუსაბუთებ, რომ საქართველოსთვის ეს სწორი გზაა.

— და ბოლოს, ვეტერანებს პენსიის ზრდას დაპირდით, თუმცა იმ ფონზე, როცა ბიუჯეტში 600-მილიონიანი გარღვევაა, მისი შესრულება რამდენად რეალური გახდება?

— საზოგადოებას დავპირდი, რომ დაღუპული მეომრების ოჯახები უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ და ეს პირობა მთავრობამ შეასრულა — ყველა დაღუპულის ოჯახს 500-ლარიანი პენსია ექნება, რომელიც 2015 წელს დამატებით 500 ლარით გაიზრდება. ანუ ათას ლარს 90-იანი წლებიდან დღემდე ყველა დაღუპული მეომრის თითოეული ოჯახი მიიღებს. ასევე საერთაშორისო ოპერაციებში დაღუპული გმირების ოჯახებს ასი ათასი ლარი გადაეცემათ. ვეტერანებს კი პატრონი ეყოლებათ — იანვრიდან ვეტერანთა დამოუკიდებელი დეპარტამენტი შეიქმნება, რომელსაც პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიეცემა. პენსიების ზრდა თავდაცვის სამინისტროს პრეროგატივაში არ შედის, თუმცა მთავრობის ზოგადი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ცნობილია. დარწმუნებული ვარ, ვეტერანებს თავად ექნებათ შესაძლებლობა, მომავალში პენსიები გაზარდონ.

ვერსიანიუსი

6 დეკემბერს თბილისს ვიქტორია ნულანდი ეწვევა

საქართველოს 6 დეკემბერს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი ეწვევა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ნულანდი საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებსა და ოპოზიციის ლიდერებს შეხვდება.

შეხვედრების ძირითადი თემები იქნება ორმხრივი და რეგიონული საკითხები, ასევე საქართველოს გზა ევროპისკენ. ვიქტორია ნულანდი ასევე მონაწილეობას მიიღებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე საქართველოდან რუსეთში გაემგზავრება. ვიქტორია ნულანდი შეხვედრებს გამართავს რუსეთის მთავრობის მაღალჩინოსნებთან და განიხილავს როგორც ორმხრივ, ისე გლობალურ საკითხებს. დაგეგმილია შეხვედრები ექსპერტებთან საგარეო პოლიტიკის საკითხებში და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ვიქტორია ნულანდი თბილისში კიევიდან ჩამოვა, სადაც სამხრეთ და ცენტრალური აზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ნიშა ბისვოლთან ერთად, ეუთო-ს რეგიონულ მინისტერიალში მიიღებს მონაწილეობას.

„ინტერპრესნიუსი“

„ახალი სისხლიანი კვირების ბედისწერა“

ანატოლი სობჩაკის წიგნის „თბილისის ჟამტეხილი ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა“ პრეზენტაცია კიევის მილიონიანი საპროტესტო აქციის ფონზე

მაია ფურცელაძე

„ეს წიგნი სწორედ იმიტომ დავწერე, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი სისხლიანი კვირების ბედისწერა!“ — წერს 1989 წლის 9 აპრილის შემსწავლელი საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელი ანატოლი სობჩაკი იმ წიგნის წინასიტყვაობაში, რომლის პრეზენტაცია 4 დეკემბერს თბილისში გაიმართება და „თბილისის ჟამტეხილი ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა“ ჰქვია. პრეზენტაცია მითუფრო აქტუალურია დღეს, ნახევარი საუკუნის შემდეგ, 2013 წლის 3 დეკემბერს, როდესაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქში, კიევში, „სისხლიანი კვირების ბედისწერის“ სურნელი ტრიალებს, როდესაც ევროინტეგრაციის, დემოკრატიის მოთხოვნით ქუჩაში გამოსულ მილიონობით დემონსტრანტს კვლავ საკუთარი ხელისუფლება მომწამვლელი გაზითა და ხელკეტებით არბევს, სცემს და ცდილობს, მასში თავისუფლების სურვილი სისხლში ჩაახშოს.

ანატოლი სობჩაკმა შესანიშნავად იცოდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რა მექანიზმებს აამუშავებდა იმპერიის დასამსჯელო მანქანა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად და წერდა: **„წიგნის დაწერის აუცილებლობას ისიც მკარნახობდა, რომ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ მოვლენათა მიმდინარეობა არც მომავალში გამორიცხავს მსგავს რეციდივებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე... მინდა, ყველამ ერთად, ერთხელ კიდევ გავიცნობიეროთ, ვინ და რა გვამხედრებს ერთმანეთის წინააღმდეგ... ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც არმიას საკუთარ ხალხს უსვევენ, ძალზე საჭიროა, გაერკვე გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმში, იმაში, თუ როგორ ხდება ყოველივე ეს, რათა შემდგომში მსგავსი რამ აღარასოდეს დაუშვა!“**

1989 წელს, აპრილის „სისხლიანი კვირა“ თბილისში, 9 აპრილს, უმოწყალო დარბევით, უდანაშაულო მსხვერპლითა და ათასობით დემონსტრანტის მოწმვლა- დასახიჩრებით დაგვირგვინდა. მიუხედავად ამ ტრაგედიისა, ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას შეფასებით, **„საქართველოს ისტორიაში ეს იყო უდიდებულესი წამი“,** რადგან სწორედ 9 აპრილმა დაუდო საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და „ბოროტების იმპერიის“ — სსრ კავშირის კრახს. თბილისის შემდეგ იყო ოში უზბეკეთში, სუმგაითი აზერბაიჯანში, ვილნიუსი ლიტვაში და ყველგან მშვიდობიანი აქციები სისხლით ჩაახშეს, თუმცა თავისუფლებისკენ სწრაფვის სურვილი ვეღარ შეაჩერეს.

9 აპრილის გამო საქართველო ყველაზე მწარედ დაისაჯა — 1990 წელს მოსული ეროვნული ხელისუფლება სწორედ საბჭოთა ნომენკლატურის ძალისხმევითა და ინტრიგებით პუტჩით დაამხეს, პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სამეგრელოს ტყეში თვითმკვლელობის ინსცენირებით მოკლეს, ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა — ავტოკატასტროფით, მოკლეს ზურაბ ჭავჭავაძე, ტერაქტი მოუწყვეს გია ჭანტურიას... ჯერ თბილისში და შემდეგ მთელ საქართველოში ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი გააჩაღეს, წაგვართვეს და დღესაც ოკუპირებულია სამაჩაბლო და აფხაზეთი, გაანადგურეს ქართული გენოფონდი, უსახლკაროდ დატოვეს ასიათასობით ქართველი, საკუთარ სამშობლოში დევნილებად რომ იქცნენ. ბრძოლა შეჩერდა, ომი გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოში თავისუფლებასა და დამოუკიდებელ საქართველოზე მეოცნებე ერთი ქართველი მაინც იარსებებს. ეს ყველაფერი კი 9 აპრილით დაიწყო...

90-იან წლებში, ლენინგრადელი იურისტის, პროფესორის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ანატოლი სობჩაკის სახელი საქართველოში ყველამ იცოდა და იმედით ელოდა 9 აპრილის შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის დასკვნას, რომელსაც სწორედ ის ხელმძღვანელობდა. კომისია რომ ობიექტურად მუშაობდა, ეროვნული მოძრაობის ლიდერები საქართველოს კომუნისტური ნომენკლატურის შეშფოთებული რეაქციებით გრძნობდნენ. კომისიამ მოითხოვა მოწმეთა ჩვენებები, აქციის ლიდერებისა და პარტიული ბოსების დაკითხვის ოქმები, დაღუპულების ოჯახის წევრებისა და ახლობლების ნაამბობი, მოწამლულებისა და დასახიჩრებულების სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, იური როსტის ფოტომასალა და ასევე გოგა ხაინდრავას მიერ იმ ღამეს გადაღებული კადრები. საქართველოს კომპარტიის ცეკა, უმაღლესი საბჭო და მინისტრთა კაბინეტი პანიკაში იყო.... ეროვნული მოძრაობის ლიდერები გრძნობდნენ, რომ ანატოლი სობჩაკის სახით საქართველოს დიდი ქომაგი გამოუჩნდა. სხვათა შორის, ვერც მაშინ და ვერც მოგვიანებით, საბჭოთა იმპერიის ჯალათებმა ვერ მიიღეს პასუხი კითხვაზე — **„რატომ იცავს სობჩაკი ქართველებს, მას ხომ არა აქვს ქართული ფესვები, იქნებ ცოლს აქვს?!“** რა თქმა უნდა, არც სობჩაკის მეუღლე, ქალბატონი ლუდმილა ნარუსოვა არაფრით უკავშირდებოდა საქართველოს, რაც მაშინდელმა კაგებემ დიდი ჩხრეკის შემდეგ დაადგინა, სამაგიეროდ, ამ კითხვაზე თავად ანატოლი სობჩაკმა უპასუხა ისტორიული ფრაზით: **„ჭეშმარიტებას ეროვნულობა არ გააჩნია!“**

ჭეშმარიტება კი 1989 წელს ყრილობაზე გახდა ცნობილი — სობჩაკის კომისიამ გამოძიების შედეგები დადო, დაადგინა ის მწარე სიმართლე, რომლის დოკუმენტურ მასალას სწორედ 4 დეკემბერს, ქართულად გამოცემული მისი წიგნის პრეზენტაციაზე დეტალურად გაეცნობით. თუმცა სსრ კავშირის კომპარტიის ცეკას ყრილობამ აქვე მოისმინა სამხედრო პროკურორის მოხსენება და სობჩაკი დაადანაშაულა პატრიოტიზმის უქონლობასა და საბჭოთა არმიის სახელის შებღალვაში. ყრილობა გასაიდუმლოებული იყო. მოგვიანებით ანატოლი სობჩაკს არაერთხელ წამოაძახეს ეს ანტირუსული პოზიცია. შეიძლება ეს ფაქტიც გახდა მიზეზი მისი ცხოვრებისა და კარიერის ტრაგიკული განვითარებისა — ჯერ იყო და, მის წინააღმდეგ ბინძური და დაუნდობელი კამპანია გააჩაღეს, შემდეგ მძიმე ავადმყოფი საფრანგეთში გადაიხვეწა, თუმცა მას საკუთარი გადაწყვეტილებები არასოდეს უნანია. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე კი თავის არქივში დარჩენილი 9 აპრილის კომისიის მასალები საქართველოს საკონსულოს გადასცა სანკტ-პეტერბურგში. ანატოლი სობჩაკის წიგნში თავმოყრილია სწორედ ეს და კიდევ ბევრი საიდუმლო კაგებესა და კრემლის არქივებიდან, ასევე დაფარული სიმართლე საბჭოეთის მმართველობის კულუარებიდან.

„მოედნის გვერდით, ბაღში, დგას ანატოლი სობჩაკის ძეგლი მადლიერი ქართველებისგან და ჩვენ, ამჟამად მცხოვრებნი, გაყოფილი ვართ საზღვრებით, უნდობლობით, ომით, მაგრამ ჭეშმარიტება იმაშია, რომ ჩვენი ქვეყნები — რუსეთი და საქართველო მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიით, კულტურით, საერთო მოგონებებით, საერთო მსხვერპლით... ამ მსხვერპლის მოსაგონებლად, ჩვენ უნდა ვეცადოთ, ვიპოვოთ ჭეშმარიტება!“ — წერს ლუდმილა ნარუსოვა, ანატოლი სობჩაკის ფონდის პრეზიდენტი, რომელმაც წიგნი გამოსცა და რომელიც 4 დეკემბერს თავად იქნება თბილისში, პრეზენტაციის მასპინძელი. ქალბატონი ლუდმილა აქვე მადლობას უხდის ანატოლი სობჩაკის მეგობარს თამაზ მჭედლიძეს დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.

და ბოლოს, კვლავ ანატოლი სობჩაკის სიტყვები რომ გავიხსენოთ, **„ხალხი, რომელსაც არ ახსოვს თავისი წარსული, განწირულია, თავიდან განიცადოს იგი“.** საქართველო დღეს, უკრაინის მსგავსად, საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას, გავიხსენოთ 9 აპრილი და უფალმა დაგვიფაროს, ოდესმე თავიდან განვიცადოთ იგი, მით უმეტეს, ისედაც უამრავი შეცდომა თუ დანაშაული ჩავიდინეთ, რომელიც სამოქალაქო ომის, ოკუპირებული ტერიტორიებისა და ათასობით ქართველის სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა.

„განმუხურთან პროვოკაცია იგეგმება!“

რა სცენარს ამუშავებს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ

დავით დევიძე
593-219-042

წინასწარ ძნელი სათქმელია, რით დამთავრდება უკრაინული პროცესები, მაგრამ გეოპოლიტიკური ვითარება რომ შეიცვლება, ფაქტია — ან ევროპა გაიძლიერებს პოზიციებს პოსტსაბჭოურ სივრცეში ან რუსეთი მოახერხებს კონტროლის კიდევ უფრო გაძლიერებას. ექსპერტთა ნაწილი გვამშვიდებს, რომ საქართველოში ყველაფერი „ლაითად“ ჩაივლის, რადგან რუსეთს საქართველოზე ზეწოლის გაცილებით ნაკლები ბერკეტი გააჩნია, მაგრამ ფაქტია, კრემლს ზემოქმედების სხვა საშუალებებიც აქვს. წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიას“ ლიდერი ვაჟა წიკლაური აცხადებს, რომ **„დაუჯერებელია, პუტინი ბედს შეურიგდეს და ევროპას უკრაინა წართმევის უფლება მისცეს. თუკი რუსეთი დათმობს და უკრაინა მაინც ევროკავშირისკენ გააგრძელებს სვლას, ეს აუცილებლად აისახება სხვა, რუსეთისადმი შედარებით ლოიალურად განწყობილ რესპუბლიკებზეც, რისი ნიშნებიც უკვე არსებობს — ყველამ კარგად ვნახეთ, რა მოხდა სომხეთში, როცა პუტინის ვიზიტის საპასუხოდ, ერევნის ქუჩებში ათასობით დემონსტრანტი გამოვიდა. მართალია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სომხეთიც აუმხედრდა რუსეთს, მაგრამ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ დამთავრდება პროცესები უკრაინაში და რა პოზიციას დაიჭერს ევროპა. თუკი ევროპული სახელმწიფოების ლიდერებმა რუსეთზე ზემოქმედების ახალი ფორმა არ შემოგვთავაზეს და მხოლოდ ჩვეული შეშფოთებით დაკმაყოფილდნენ, უკრაინას ვერაფერი გადაარჩენს“.**

მიუხედავად არაერთი სასტიკი დარბევისა, მომიტინგეები დაშლას არ აპირებენ, სხვათა შორის, კიევში, 2 დეკემბერს, დემონსტრანტების მხარდასაჭერად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტთა ჯგუფი ჩავიდა, უკრაინის რადა მთავრობის ნდობის საკითხს ოპოზიციის ზეწოლის საკმაოდ მძიმე ზეწოლის ფონზე განიხილავს, თუმცა ვაჟა წიკლაური აცხადებს, რომ **„მომიტინგეები ვერ შეძლებენ მუდმივად ამ რეჟიმის შენარჩუნებას და ხალხს, სავარაუდოდ, კომპრომისულ ვარიანტს შესთავაზებენ, რის შედეგადაც მუხტს დააგდებენ, გამორიცხული არ არის, ამისთვის იანუკოვიჩიც კი გაწირონ. რაც შეეხება ნაციონალებს, მათი საქმე ისეა, ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო. გული არავის გაუხეთქონ კიევში გამოჩენით. არა მგონია, მათ ვინმემ ყურადღება მიაქციოს“.**

სოლიდარობის გამოხატვის უფლება ყველას აქვს, მაგრამ საქართველოსთვის უფრო საინტერესო იქნება, რა გავლენას მოახდენს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოზე. ვაჟა წიკლაური არ იზიარებს ზოგიერთი ექსპერტის სიმშვიდეს და აცხადებს, რომ ეს ზედაპირული შეფასებაა, სინამდვილეში, კრემლს ჩვენს წინააღმდეგ გაცილებით სერიოზული ბერკეტების გამოყენება შეუძლია: **„ჩვენი ინფორმაციით, კრემლი ამუშავებს მზაკვრულ გეგმას და სწორედ ეკონომიკური ბერკეტების არქონის გამო, აქცენტს კვლავ პოლიტიკურ ზეწოლაზე გააკეთებს, რასაც ანექსირებული ტერიტორიების გამოყენებით იოლად შეძლებს. ადმინისტრაციული საზღვრების გავლებისას, სადემარკაციო ხაზს გადმოწევს იმდენად ღრმად, რომ ვეღარ წავუყრუებთ, როგორც ეს დღეს ხდება და დავდგებით რეალობის წინაშე. ეს პროვოკაცია, სავარაუდოდ, განმუხურთან დაკავშირებით მოხდება. ქართული მხრიდან მიღებული ნებისმიერი საბაბის შემთხვევაში, იგი მყისიერად აამოქმედებს ამ გეგმას და ვითომდა კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების შენარჩუნების მოტივით, უკვე მთელი ქვეყნის ანექსიას მოახდენს. ამის შემდეგ კი, ცხადია, აღარ გაუჭირდება პოლიტიკურ წრეებში საყრდენი ძალის გამონახვა, თუმცა ვიმეორებ, ეს ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში“.**

პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო კანცელარიაში მინისტრთა კაბინეტის წევრებს შეხვდა

პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო კანცელარიაში მინისტრთა კაბინეტის წევრებს ხვდება. შეხვედრაზე იმყოფება პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. მსჯელობის მთავარი თემა, სხვა მიმდინარე საკითხებთან ერთად, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის საკითხია.

„იყო ტყუილუბრალო აჟიოტაჟი მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენ კომისიასთან დაკავშირებით. როცა სერიოზულ გადაწყვეტილებას იღებ, ყველა ნაბიჯი უნდა გქონდეს გათვლილი და კანონი მიიღო, რომელსაც ზურგს არაფერი უმაგრებს, ეს არასწორი იქნება, ამიტომ ამ კანონს შესაბამისი დროში გაწერილი ვალდებულებები უნდა მიეცეს“, — განაცხადა სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა.

ჯონ კერი გაზაფხულზე საქართველოს ეწვევა

აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, არჩილ გეგეშიძის განცხადებით, **„ჯონ კერი შეგვპირდა, რომ არაუგვიანეს გაზაფხულისა, საქართველოში ჩამოვა“.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის შეხვედრის შემდეგ ელჩმა განაცხადა, რომ **„ამერიკული მხარე უაღრესად კმაყოფილია საქართველოს მიერ დასავლური კურსით, კერძოდ, ამ დღეებში ვილნიუსში გამართული ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების ფაქტით. სახელმწიფო მდივანმა მადლობა გადაგვიხადა ურყევი კურსისთვის და ამ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯისთვის. მან თქვა, რომ შეერთებული შტატები ყველაფერს იღონებს, საქართველოს მხარი დაუჭიროს ამ პროცესის ეფექტიანად გაგრძელებაში“.**

მისი თქმით, შეხვედრაზე საუბარი ნატო-ში ინტეგრაციის საკითხს, ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას და მათ თვისებრივად ახალ დონეზე აყვანას შეეხო.

აზერბაიჯანში ბენზინი, დიზელი და ბუნებრივი აირი გაძვირდა

აზერბაიჯანის სატარიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2013 წლის დეკემბრიდან საცალო ფასი მეზობელ ქვეყანაში ბენზინსა და დიზელზე, ასევე საბითუმო ფასი ნავთობპროდუქტის გარკვეულ სახეობებზე, საშუალოდ, 0,2 მანათით, ანუ 45 თეთრით გაიზარდა. შესაბამისად, ერთი ლიტრი AI-95 ტიპის ბენზინი 0,6 მანათიდან 0,8 მანათამდე (1,7 ლარამდე) გაძვირდა, AI-92 და AI-80-ის კი — 0,55 მანათიდან — 0,7 მანათამდე (1.5 ლარამდე). რაც შეეხება დიზელის ღირებულებას, მისმა ფასმა 0,6 მანათი (1,3 ლარი) შეადგინა, ნაცვლად 0,45 მანათისა.

სატარიფო საბჭომ აგრეთვე გადაწყვიტა, ბუნებრივი აირი გაძვირებული ფასებით მიაწოდოს ელექტროენერგიის, ალუმინის, ქიმიური პროდუქციისა და ფოლადის მწარმოებელ კომპანიებს. რაც შეეხება ტარიფებს, მან ათას კუბურ მეტრზე 42-დან — 80 მანათამდე (173 ლარამდე) მოიმატა. ორი კვირის წინ აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია „სოკარის“ ვიცე-პრეზიდენტმა, დავიდ მამედოვმა განაცხადა, რომ **„ბენზინის მოხმარება ქვეყანაში წელს, შარშანდელთან შედარებით, 10,2%-ით გაიზარდა. შექმნილი დეფიციტის გამო კომპანიას ბენზინის ექსპორტის შეჩერებამ მოუწია“.**

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი საქართველოსთვის ბენზინისა და დიზელის სიდიდით მეორე ექსპორტიორია. ნავთობიმპორტიორთა კავშირის ინფორმაციით, წელს 10 თვის განმავლობაში მეზობელი ქვეყნიდან 173,7 ათასი ტონა საწვავი შემოვიდა.

„პირველი“

სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ბიზნესმენს საქართველოს პარლამენტის წევრი თემურ ფეიქრიშვილი აშანტაჟებდა?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საინვესტიციო კომპანია შპს „მედგრუპ ჯორჯია“, რომელიც ბიზნესმენმა თამაზ მჭედლიძემ დააფუძნა, დაბა წავკისში საერთაშორისო დონის, გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობას გეგმავს. სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ბიზნესმენი აპირებს, საქართველოში ველნეს (ტერმინი ველნესი, პირველად ამერიკელმა ექიმმა, ჰელბერტ დანმა 1959 წელს გამოიყენა, რაც სასიამოვნო მეთოდებით, კარგი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის შენარჩუნებას გულისხმობს) ინდუსტრია შექმნას. ამ პროექტის განხორციელებას საფრთხეს უქმნის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში ჯერ ნაციონალური მოძრაობის სიით მოხვდა, მოგვიანებით კი, პარტიას გაემიჯნა. იმ დროს, როდესაც სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ბიზნესმენმა დაბა წავკისში მრავალმილიონიანი პროექტის განხორციელება გადაწყვიტა, თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი გარდაბნის რაიონის გამგებელი იყო. ყოფილმა გამგებელმა, საკუთარ გარემოცვასთან ერთად, არა მარტო ბიზნესმენი თამაზ მჭედლიძე დააშანტაჟა, სოციალურად დაუცველი წავკისელების კუთვნილი მიწის ნაკვეთები უკანონოდ მიითვისა.

2011 წელს, პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში, დღის წესრიგში დადგა, წავკისის მაცხოვრებლების საკუთრებაში არსებული, მომიჯნავე მიწის ნაკვეთები კომპანიის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებს მიერთებოდა. შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ ადვოკატის, **არჩილ ჩოფიკაშვილის** განმარტებით, წავკისელებთან მოლაპარაკების პროცესში გაირკვა, რომ მიწის ნაკვეთების გადაცვლა-გასხვისებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს მესაკუთრეები კი არა, გარდაბნის რაიონის ყოფილი გამგებელი თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი იღებდა:

„როგორც ინვესტორი თამაზ მჭედლიძე ამბობს, ერთ-ერთი შეხვედრის დროს ფეიქრიშვილმა განუცხადა, რომ თუ წავკისელებისგან მაღალ ფასად არ გამოისყიდდა მიწის ნაკვეთებს, 4 სოფელს აუჯანყებდა და საინვესტიციო პროექტს ჩაუშლიდა. ამ მუქარის შემდეგ, 2011 წლის ზაფხულში, ფეიქრიშვილის ნათესავმა ჯაფიაშვილმა, კომპანიას მიწის ნაკვეთის გადაცვლაზე უარი უთხრა. არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაკვეთი იყო, რადგან გამაჯანსაღებელ კომპლექსამდე მისასვლელ გზას მასზე უნდა გაევლო. ალტერნატიული გზის მშენებლობა „მედგრუპ ჯორჯიას“ 100 000 ლარი დაუჯდა, რაც დამატებითი ხარჯი იყო. პარალელურად, ფეიქრიშვილმა სოციალურად დაუცველი მალხაზ და გულნარა გვარაძეების ოჯახიც დააზარალა. მიწის ნაკვეთები, რომლებიც „მედგრუპ ჯორჯიამ“ გვარაძეების ოჯახს გადაუცვალა, გარდაბნის რაიონის ყოფილმა გამგებელმა მოტყუებით გადაიფორმა და შესაბამისად, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ინტერესებიც დაირღვა. ჩნდება ეჭვი, რომ ფეიქრიშვილი, პირთა ჯგუფთან ერთად, უკანონოდ ცდილობს, „მედგრუპ ჯორჯიას“ პროექტის განხორციელებაში ხელი შეუშალოს“.

ადვოკატის განცხადებით, ჩნდება ეჭვი, რომ თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილისა და მისი ნათესავების საკუთრებაში უკანონოდ, თაღლითური გზით აღმოჩნდა 227 301 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი დაბა წავკისში. არჩილ ჩოფიკაშვილი ამბობს, რომ ფეიქრიშვილმა შეცდომაში შეიყვანა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია, რადგან საკუთარი თავი დაჩაგრულად წარუდგინა. ადვოკატის თქმით, გადასახადების სახით, „მედგრუპ ჯორჯიამ“ სახელმწიფო ბიუჯეტში 500 000 ლარი გადაიხადა, წავკისის პროექტში 5 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა და 250-მდე მოქალაქე დაასაქმა.

სოციალურად დაუცველი წავკისელების, მალხაზ და გულნარა გვარაძეების ადვოკატი **ლექსო არძანია** გვიამბობს, თუ როგორ გადაიფორმეს გვარაძეების კუთვნილი მიწის ნაკვეთები თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილმა და მისმა ნათესავმა, სოსო ქოროღლიშვილმა:

„გარდაბნის რაიონის ყოფილმა გამგებელმა და მისმა ნათესავმა ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს და თითქოს, 60 000 აშშ დოლარიც კი გადაიხადეს, მაგრამ გვარაძეებს თანხა არ მიუღიათ. მალხაზ და გულნარა გვარაძეები სიღარიბის ზღვარსმიღმა იმყოფებიან — სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არიან რეგისტრირებულნი. მათი თქმით, თაღლითურად, ხელშეკრულებებზე მოტყუებით ხელმოწერის შედეგად, მონაცემთა ამ ბაზაში უკვე აღარ ირიცხებიან. მალხაზ გვარაძე პირველი ჯგუფის ინვალიდია, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები კი დაცულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ეროვნული საკანონმდებლო აქტებით. საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მალხაზ და გულნარა გვარაძეებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართეს. მოითხოვეს, გამოძიება დაწყებულიყო, რათა პასუხისგებაში მიეცათ დამნაშავეები. სამწუხაროდ, პროკურატურას არც დაზარალებულების მიერ მითითებული, შესაძლო დამნაშავე პირები დაუკითხავს და არც მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მიიღო მხედველობაში. შედეგად, საქმეში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულიყო“.

ადვოკატები მიიჩნევენ, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ეს ფაქტები დეტალურად უნდა გამოიძიონ და სისხლის სამართლის საქმე აღძრან. მათი თქმით, დეპუტატმა თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილმა არა მარტო მრავალმილიონიან პროექტს შეუქმნა საფრთხე, სოციალურად დაუცველი მალხაზ და გულნარა გვარაძეების უფლებებიც შელახა. ადვოკატები მოითხოვენ, მთავარ პროკურატურასთან ერთად, ამ საქმის გამოძიებაში სახალხო დამცველის აპარატიც ჩაერთოს.

გენმოდიფიცირებული პროდუქტის სკანდალური შავი სია

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა და ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება, უკრაინის მოვლენებთან ერთად, ბოლო დღეების ყველაზე აქტუალური თემაა. იმ მოთხოვნათა შორის, რომლებსაც საქართველო ევროკავშირში ინტეგრირებისთვის უნდა აკმაყოფილებდეს, სურსათის უვნებლობა და ბაზრის კონტროლიცაა, თუმცა ეს უპირველესად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქის უფლება და პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ დაიწყო „ვერსიამ“ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის პოპულარიზაცია და ახალი რუბრიკის, „SOS — საფრთხე“ ფარგლებში არაერთი სტატიაც შემოგთავაზათ, თუ რა გავლენას ახდენს გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები პროდუქტი ადამიანის ორგანიზმსა და ჯანმრთელობაზე.

ამჯერად, იმ კომპანიების „შავ სიას“ გთავაზობთ, რომლებიც გენმოდიფიცირებულ პროდუქტს აწარმოებენ. ეს სია „გრინფისმა“ მიმდინარე წელს განაახლა, საქართველოში კი, სამწუხაროდ, მის მიერ გამოქვეყნებულ ძველ თუ ახალ ნუსხებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. არადა, Greenpeace უმსხვილესი, დამოუკიდებელი, საერთაშორისო არასამთავრობო ეკოლოგიური ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოს 47 ქვეყანაში ფლობს რეგიონულ განყოფილებებს. მისი კვლევის საგანია ისეთი გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ტროპიკული და ჩრდილოეთის ტყეების განადგურება, უკანონო თევზჭერა, რადიაციული საფრთხე, გენური ინჟინერიის განვითარება... „გრინფისს“ კონსულტანტის სტატუსი აქვს გაერო-ს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოშიც. ორგანიზაცია პერიოდულად აქვეყნებს იმ კომპანიების ჩამონათვალს, რომლებიც პროდუქტის წარმოებისას გენურ ინჟინერიას მიმართავენ. განახლებულ შავ სიას „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ. წყარო: http://www.vmir.su/49247-greenpeace-obnovil-chernyy-spisok-gmo.html ჩამონათვალში ბევრ ისეთ პროდუქტს წაანყდებით, რომლებსაც ალბათ, ხშირად მიირთმევთ. სამწუხაროდ, შავ სიაში, ბავშვთა კვების პროდუქტის მწარმოებლებიც მრავლად მოხვდნენ.

ამ სტატიის მიზანი არ არის, რომელიმე კომპანიის იმიჯის შელახვა, დისკრედიტაცია და საზოგადოებისთვის მტკიცება, არ შეიძინონ და მიირთვან ესა თუ ის პროდუქტი. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ბაზარი დღეს სათანადოდ არ კონტროლდება, არც გენმოდიფიცირებული პროდუქტის მარკირება ხდება და ამ საკითხს, ჯერჯერობით, არც კანონი არეგულირებს, მოსახლეობას საშუალებას ვაძლევთ, გაეცნონ მსოფლიოში უმსხვილესი ორგანიზაციის კვლევას. „ვერსია“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, უკვე წერდა, რომ მალე, საქართველოში შესაბამისი ლაბორატორია ამოქმედდება და მოგვეცემა საშუალება გავიგოთ, რომელი პროდუქტი შეიცავს გმო-ს. მანამდე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის პოპულარიზაციის ფარგლებში, ქართველ მწარმოებლებს ოფიციალური წერილებით უკვე მივმართეთ და ვთხოვეთ, სანამ მათი პროდუქცია ლაბორატორიულ შემოწმებას გაივლის, თავად მოგვწერონ, იყენებენ თუ არა წარმოებაში გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს და გენურ ინჟინერიას. უახლოეს მომავალში, „ვერსია“ გაცნობებთ, რომელი კომპანია რა რეაგირებას მოახდენს ჩვენ მიმართვაზე და შევეცდებით, მოგაწოდოთ უახლესი ინფორმაცია.

კომპანია — მწარმოებელი Unilever

Lipton (ლიპტონი) — ჩაი
Brooke Bond (ბრუქ ბონდი) — ჩაი
ბესედა — ჩაი
Calve (კალვე) — მაიონეზი, კეტჩუპი
დელმი — მაიონეზი, იოგურტი, მარგარინი
ალგიდა — ნაყინი
Knorr (კნორი) — სანელებლები
Rama (ზეთი)
პიშკა (მარგარინი)

კომპანია — მწარმოებელი Nestle

Nescafe (ყავა, რძე)
Maggi (სუპი, ბულიონი, მაიონეზი, სუნელები, კარტოფილის პიურე)
Nestle (შოკოლადი)
Nestea (ჩაი)
Nesquik (კაკაო)

კომპანია — მწარმოებელი Kellogg's

Corn Flakes (ფანტელები)
Frosted flakes (ფანტელები)
Rice Krispies (ფანტელები)
Corn pops (ფანტელები)
Smacks (ფანტელები)
froot loops (ფერადი მრგვალი ფანტელები)
Apple Jacks (მრგვალი ფანტელები ვაშლის არომატით)
All-bran Apple Cinnamon/Blueberry (ქატო ვაშლის, დარიჩინის, მოცვის გემოთი)
Chocolate Chip (შოკოლადის ჩიფსი)
Pop Tarts (ორცხობილა ნებისმიერი შიგთავსით)
Nutri-grain (ყველა სახეობის ტოსტი)
Crispix (ორცხობილა)
Smart Start (ფანტელები)
All-Bran (ფანტელი)
Just Right Fruit&Nut (ფანტელი)
Honey Crunch Corn Flakes (ფანტელი)
Raisin Bran Crunch (ფანტელი)
Cracklin'Oat Bran (ფანტელი)

კომპანია — მწარმოებელი Hersshey's

Toblerone (ყველა სახეობის შოკოლადი)
Mini Kisses (კანფეტი)
Kit-Kat (შიკოლადის ბატონი)
Kisses (კანფეტი)
Semi-Sweet Baking Chips (ორცხობილა)
Milk Chokolate Chips (ორცხობილა)
Reese's Peanut Butter Cups (არაქისის ზეთი)
Special Dark (შავი შოკოლადი)
Milk Chokolate (რძიანი შოკოლადი)
Chocolate Syrup (შოკოლადის სიროფი)
Cpecial Dark Chokolate Syrup (შოკოლადის სიროფი)
Strawberry Syrop (მარწყვის სიროფი)

კომპანია — მწარმოებელი Mars

M&M's
Snickers
Milky Way
Twix
Nestle
Crunch (ბრინჯის ფანტელები შოკოლადით)
Milk Chocolate Nestle (შოკოლადი)
Nesquik (შოკოლადის სასმელი)
Cadbury (Cadbury/Hershey's)
Fruit&nut

კომპანია — მწარმოებელი Heinz

Ketchup (regular&no salt) (კეტჩუპი)
Chili Sauce (ჩილის სოუსი)
Heinz 57 Steak Sauce (სოუსი ხორცისთვის)

კომპანია — მწარმოებელი Hellman's

Real mayonnaise (მაიონეზი)
Light Mayonnaise (მაიონეზი)
Low-Fat Mayonnaise (მაიონეზი)

კომპანია — მწარმოებელი Coca-Cola

Coca-Cola
Sprite
Cherry Coca
Minute Maid Orange
Minute Maid Grape

კომპანია — მწარმოებელი PepsiCo

Pepsi
Pepsi Cherry
Mountain dew

კომპანია — მწარმოებელი Frito-Lay/PepsiCo (გმ კომპონენტებს შეიძლება შეიცავდეს ზეთი და სხვა ინგრედიენტები)

Lays Potato Chips (all) (ჩიფსი)
Cheetos (All) (ჩიფსი)

კომპანია — მწარმოებელი Cadbury/Schweppes

7-Up
Dr. Pepper

კომპანია — მწარმოებელი Pringles (procter&Gamble)

Pringles (ჩიფსი გემოთი Original, Low fat, Pizza-licious, Sour Cream&Onion, Salt& Vinegar, Cheezeums)

#	კომპანიის დასახელება	პროდუქტი
1	Danon (დანონი)	იოგურტი, კეფირი, ხაჭო
2	Pringles (პრინგლისი)	
3	Snickers (სნიკერსი)	
4	Twix (ტვიქსი)	
5	Milky Way (მილქი ვეი)	
6	Cadbury (კედბერი)	შოკოლადი, კაკაო
7	Ferrero (ფერერო)	
8	Nestle (ნესტლე)	შოკოლადი „ნესტლე“, „როსია“, ბავშვთა კვება
9	Nestle Nesquik (ნესტლე ნესკვიკი)	შოკოლადის სასმელი „ნესტლე ნესკვიკი“
10	Coca-Cola (კოკა-კოლა)	არაალკოჰოლური სასმელი „კოკა-კოლა“
11	„სპრაიტი“, „ფანტა“, ტონიკი „კინლი“, „ფრუქტაიმი“	
12	Pepci-co Pepsi (პეპსი)	„პეპსი“
13	7-Up („სევენ აპ“), „ფიესტა“, „მაუნთინ დიუ“	
14	Kellogg's (კილოგსი)	მშრალი საუზმე
15	Campbell (კემპბელი)	სუპი
16	Uncle Bens mars (ანქლ ბენს მარსი)	ბრინჯი
17	Knorr (კნორი)	სოუსები
18	Lipton (ლიპტონი)	ჩაი
19	Parmalat (პარმალატი)	ორცხობილა
20	Hellman's (ჰელმენსი)	მაიონეზი, სანელებელი, სოუსი
21	Heiz (ჰეინცი)	მაიონეზი, სანელებელი, სოუსი
22	Nestle (ნესტლე)	საბავშვო საკვები
23	Hipp (ჰიპი)	
24	Abbot Labs Similac (ებოთ ლებს სიმილაკი)	
25	Denon (დენონი)	იოგურტი, კეფირი, ყველი, საბავშვო საკვები
26	McDonald's (მაკდონალდსი)	
27	Kraft (კრაფტი)	შოკოლადი, ჩიფსი, ყავა, საბავშვო საკვები
28	Heinz Foods (ჰეინც ფუდსი)	კეტჩუპი, სოუსი
29	Unilever (უნილევერი)	საბავშვო საკვები, პროდუქტი „დელმი“
30	Unilever (უნილევერი)	საბავშვო საკვები, მაიონეზი, სოუსი და ა.შ.
31	Hershey's Cadbury Friut&nut (ჰერშის ქედბარი ფრუტ&ნათ)	შოკოლადი
32	Similac (სიმილაკი)	საბავშვო საკვები
33	Mars (მარსი)	შოკოლადი „მარსი“
34	Lays (ლეისი)	
35	Cheetos (ჩიტოსი)	
36	Schweppes (შვეფესი)	
37	Monsanto (მონსანტო)	
38	Milka (მილკა)	
39	პარმალატი	
40	დარია	ნახევარფაბრიკატები
41	Knorr (კნორი)	

ექსკლუზიური ინტერვიუ გენერალ-მაიორ ავთანდილ ცქიტიშვილთან

მინი-დოსიე:

გენერალ-მაიორი ავთანდილ ცქიტიშვილი; დაიბადა 1950 წლის 26 ივლისს მარნეულში. დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი 1972 წელს და ლენინგრადის სამხედრო საარტილერიო აკადემია 1980 წელს. მსახურობდა საბჭოთა კავშირის ჯარში, სადაც 1985 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იგი გახდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის, ხოლო შემდეგ გენერალური შტაბის პირველი უფროსი-თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. ავთანდილ ცქიტიშვილმა თავის რუს კოლეგასთან — გენერალ მიხეილ კოლესნიკოვთან ერთად, მოსკოვში 1993 წლის 9 ოქტომბერს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის რამოდენიმე მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზისა და ობიექტების საქართველოსთვის გადმოცემისა და რუსეთის არმიის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ.

ნინო შათირიშვილი

ნაციონალების 9-წლიანი მმართველობის დასრულებამ საზოგადოებაში იმედი გააჩინა. ახალი ხელისუფლების დაპირებებს ზოგი სკეპტიკურად შეხვდა, ზოგი — რწმენით. ვეტერანები საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ყველაზე ცუდ თუ არა, ერთ-ერთ ყველაზე უარეს მდგომარეობაში იმყოფება. რა იცვლება და რა შეიცვლება მათ ცხოვრებაში? — ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსის მრჩეველი, გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ვეტერანთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად ახალმა ხელისუფლებამ პირველი რეალური ნაბიჯები უკვე გადადგა.

— პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ცვლილება კანონში ვეტერანთა შესახებ, რომლის თანახმადაც, ვეტერანთა დეპარტამენტი გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, გამოვა თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობიდან და პირდაპირ მთავრობას დაექვემდებარება. რას შეცვლის ეს გადაწყვეტილება?

— ომისა და შრომის ვეტერანთა დეპარტამენტი უკვე რამდენიმე ათეული წელია არსებობს. იცვლებოდა უფროსობა, მისი დაქვემდებარების დონე, სტატუსი, საშტატო სტრუქტურა, სახელწოდება, მაგრამ სამწუხაროდ, უცვლელი იყო ვეტერანებისადმი დამოკიდებულება. დღეს ქვეყანა მოსალოდნელი ომის წინაშეა, 20% ოკუპირებულია, გრძელდება მცოცავი ანექსია და მტერი თბილისის კარიბჭესთანაა მომდგარი. ვფიქრობ, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი მოქალაქე მოიაზრება საქართველოს ჯარისკაცად და მომავალში ვეტერანად. როდესაც ახალგაზრდობა ხედავს სახელმწიფოს უდიერ დამოკიდებულებას ვეტერენისადმი, არა მგონია, ქვეყნის სამსახურის სურვილი გაუჩნდეს. დღეს, როდესაც საქმე უკეთესობისკენ წავიდა, პოზიტიური ცვლილებები დაიწყო, ნაცებს თავზარი დაეცათ ბიძინა ივანიშვილის სახით და „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლით, ვეტერანთა საქმეებიც უკეთესობისკენ დაიძრა. ბევრი კეთილი და კარგი საქმე გაკეთდა ბოლო 10 თვის განმავლობაში: ამუშავდა ვეტერანთა დასაქმების პროგრამა, ყველას ეკუთვნის სახელმწიფო დაზღვევა, რაც განისაზღვრება გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის 15 000 ლარითა და ონკოლოგიურის მომსახურეობის 13 000 ლარის ოდენობით; მიღებულია გადაწყვეტილება, საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებისთვის 2014 წლის იანვრიდან 500 ლარის შემწეობის გაცემის შესახებ, ხოლო 2015 წლიდან ეს თანხა გაორმაგდება.

დღეს დეპარტამენტი გაერთიანებული შტაბის შემადგენლობაშია, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის, კერძოდ: მოგეხსენებათ, ვეტერანთა სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია და მათ რიგებში გაერთიანებულნი არიან, როგორც სამხედრო, ასევე სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებიც, რაც არამართებულს ხდის გაერთიანებული შტაბის არეალში მათ ყოფნას. მიმაჩნია, რომ დეპარტამენტი უფრო მნიშვნელოვან სახელმწიფო პოლიტიკას უნდა ახორციელებდეს, რაც შესაძლებელია მისი, როგორც ცალკე იურიდიული პირის არსებობის შემთხვევაში. გადაწყდა, რომ დეპარტამენტი გამოეყოფა გაერთიანებულ შტაბს, ჩამოყალიბდება დამოუკიდებელ სახელმწიფო ინსტიტუციად, რაც მის სტატუსს მნიშვნელოვნად გაზრდის. დეპარტამენტის პირად შემადგენლობაშია 50 ადამიანი, რაც საკმარისი არაა და გარკვეულ სირთულეებს ქმნის. საჭიროა რეგიონული სამსახურების ჩამოყალიბება, რათა ვეტერანებთან კომუნიკაცია უფრო სრულყოფილი გახდეს. აუცილებელია, შეიქმნას საზოგადოებასთან ურთიერთობის, საფინანსო-საგეგმო და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ურთიერთობის სტრუქტურები. ცხადია, ამგვარი სამსახური თავის გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი იქნება და რაიმე პრობლემა, უშუალოდ, მინისტრთა კაბინეტთან გადაწყდება.

— თქვენ ჯერ კიდევ 2010 წელს გქონდათ ცვლილებების განხორციელების მცდელობა, როცა გენერალ ყარყარაშვილსა და ირაკლი ბათიაშვილთან ერთად, საინიციატივო ჯგუფი შექმენით. თქვენი თანამოაზრე იყო ამჟამად ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსი ლევან გამყრელიძეც. მაშინ განაცხადეთ, რომ შეურაცხმყოფელი და ცინიკურია ხელისუფლების დამოკიდებულება 1992-1993 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა მიმართ და ყველაფერს გააკეთებთ ამ მდგომარეობის შესაცვლელად. სამწუხაროდ, მაშინ ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, თუ ასე არ არის?

— 2010 წელს დავაფუძნეთ ვეტერანთა მოძრაობა „საქართველოს ლეგიონი“, გაცილებით ადრე, იგივე ირაკლი ბათიაშვილის ინიციატივით, გია ბერძენიძესთან ერთად, დავაფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალოვან ვეტერანთა ლიგა“ და გაჩნდა იმედი, რომ ჩატარებული აქციებით გადავწყვეტდით ვეტერანთა საკითხებს, თუმცა ჩვენი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. იმჟამინდელმა მთავრობამ ყურადღება არ მოგვაქცია. ძალიან ნერვიულობდა გია ყარყარაშვილი, ნერვიულობდნენ ვეტერანები და ამ ნიჰილიზმმა, უყურადღებობამ ლეგიონის წევრებს კარდინალური ნაბიჯისკენ უბიძგა — რამდენიმე ათეულმა ადამიანმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა, გმირთა მოედანზე, ახალი წლის დამდეგს, შიმშილობა დაიწყო, რათა მთავრობას 22-ლარიანი შემწეობა გაეზარდა და საარსებო მინიმუმამდე მაინც აეყვანა. სხვათა შორის, ეს ის ხალხი იყო, ვისაც 13 თვის განმავლობაში კბილებით ეკავა აფხაზეთი და იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას რუსეთის იმპერიის მეტად მძლავრი შემოტევისგან. ეს ბიჭები, ეს ვაჟკაცები, ეს გმირები დასხდნენ იქ საშიმშილოდ და მე ვარ მომსწრე, რომ ცხელი ჩაისა და მინერალური წყლის გარდა, არაფერს იღებდნენ. იმ უმძიმეს პერიოდში, ამ სიცივეში, ტალახში, თოვლში შიმშილობა თქვენც იცით, რითაც დამთავრდა — საქართველოს პრეზიდენტმა ჩაიქროლა, დაინახა, რომ იქ გვარდიის საბრძოლო დროშები და მებრძოლთა ფოტოებია გამოფენილი (ეროვნული გვარდიის დეპარტამენტიდან მაშინდელმა ხელმძღვანელობამ დაღუპული ვეტერანების ფოტოები ჩამოხსნა და გარეთ გადმოყარა. ჩვენ ისინი შევაგროვეთ, იქვე განვათავსეთ თავიანთ დაღუპულ ძმებთან ერთად) და გასცა განკარგულება, რომელიც ვანო მერაბიშვილმა მისთვის ჩვეული სისხარტით გადახარშა და ნახევარ საათში აქციაზე ე.წ. ზონდერჯგუფები მოცვივდნენ. ატყდა ვაი-უშველებელი. ხალხი ითხოვდა 22-ლარიანი შემწეობის გაზრდას, ისინი კი დაიჭირეს, სცემეს, დაბეგვეს, შეყარეს მანქანებში და სააკაშვილის სასამართლომ ყველას 400-500 ლარიანი ჯარიმები დააკისრა, რომელიც ბევრს დღემდე გადაუხდელი აქვს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ჩვენს ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია და გახსოვთ, რა გამოხმაურება მოჰყვა ამ ფაქტს.

— სიმბოლური პენსიები, სრულიად არასაკმარისი სოციალური პაკეტი, საზოგადოებაში რესოციალიზაციის არარსებობა... უმძიმესი ფსიქოლოგიური წნეხი, რომელშიც ვეტერანები არიან, რაც იმაში გამოიხატება, რომ სახელისუფლო პოლიტიკა მხოლოდ 2003 წლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებში მონაწილე მეომრებს უთმობდა ყურადღებას... ამ მიმართულებით რა შეიცვლება?

— რაც ახლა ბრძანეთ, ძალიან აქტუალური იყო 8-10 თვის წინ, დღეს ბევრი რამ შეიცვალა. ვეტერანთა ჰოსპიტალში იმდენად მძიმე და არასასურველი ვითარებაა, ცრემლი წამოგივა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვეტერანი იქ სითბოს, მზრუნველობას, ყურადღებას პოულობს. იქ გენიოსი ექიმები მუშაობენ, რომლებსაც მთავრობა ავადმყოფზე 20 თეთრს უხდიდა. ჩვენი ჰოსპიტალი აუცილებლად გაკეთდება, იქვე იქნება პოლიკლინიკა, სადაც ნებისმიერი მსურველი გაივლის გამოკვლევას და თანხები, რომელიც დღეს დაზღვევისაა და იფანტება ყველა საავადმყოფოსა და სამკურნალო დაწესებულებაში, ამ ჰოსპიტალში მოიყრის თავს. ამერიკიდან უძვირფასესი მაღალტექნოლოგიური აპარატურა ჩამოდის, პირველი 40 ტონა უკვე გზაშია და ხვალ-ზეგ საქართველოში იქნება. ჰოსპიტალი უმაღლეს დონეზე აღიჭურვება. რაც შეეხება ვეტერანთა რესოციალიზაციას, დეპარტამენტის უფროსი — აფხაზეთის ომის ვეტერანი, ახალგაზრდა მეცნიერი გელა დოლიძე ამ საკითხის გადასაწყვეტად ძალიან მონდომებულია. ვეტერანთა დასაქმების, განათლების, ეკონომიკური სივრცისთვის მორგების საკითხებზე ამჟამად მიდის მოლაპარაკება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რაც სათანადო მემორანდუმით გაფორმდება ლადო პაპავასა და გელა დოლიძის მიერ. გეგმაშია სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბებაც ვეტერანთა პროფესიული მომზადებისთვის. მოკლედ, გეგმა ბევრია და თუ იქნება სათანადო სტრუქტურების, განსაკუთრებით — ფინანსთა სამინისტროს, მხარდაჭერა ბევრს მივაღწევთ.

— თქვენ იყავი პირველი გენერალი, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეროვნული გვარდიის აღლუმი ჩაიბარა. როგორ ფიქრობთ, ქართული გვარდიის დღევანდელი სახე შეეფერება თუ არა თანამედროვე მსოფლიოს სამხედრო სტანდარტებს?

— აღლუმი არ ჩამიბარებია — აღლუმი ჩაიბარა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, მე ვიყავი ამ აღლუმის სარდალი... 2008 წლის მოვლენებს შევაფასებ როგორც ავანტიურას, რომელზეც პასუხი უნდა აგონ მისმა სულისჩამდგმელებმა. არ დამავიწყდება სააკაშვილის გამოსვლა ტელევიზიით, როდესაც გათავისუფლებული სოფლების ჩამოთვლისას სიამაყისგან ლამის ეკრანიდან ძვრებოდა და მეორე კადრი — როცა გორში თვითმფრინავის გადაფრენის ხმაზე ჰალსტუხიჭამია ოთხზე იყო წაკუზული. მიმაჩნია, რომ ჩვენი არმია ნატო-ს ოპერაციებისთვის (პატრულირება, ბლოკპოსტი) შესანიშნავადაა მომზადებული, მაგრამ არის კი მზად რუსეთის მოსალოდნელი აგრესიის მოსაგერიებლად? საამისოდ ხომ სულ სხვა ტაქტიკაა გამოსაყენებელი, ვგულისხმობ, პოზიციურ ბრძოლებს, თავდაცვას, შეტევას, კონტრშეტევას, დღისით და ღამით მოქმედებებს. იმედს გამოვთქვამ, რომ თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ახალი შემადგენლობა გადადგამს საჭირო ნაბიჯებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ვილნიუსის შეხვედრის შემდეგ, ჩვენი „დიდი“ მეზობელი გარკვეულ ქმედებებს ჩაიდენს. არა მგონია, მრავალ ქარცეცხლგამოვლილი და დღეს სოციალურად დაუცველი ვეტერანები განზე დადგნენ და სამშობლოსთვის არ გამოიყენონ თავიანთი საბრძოლო გამოცდილება.

და ბოლოს, მოვუწოდებ ვეტერანებს — მოდით, გავერთიანდეთ! მე შემიძლია მხოლოდ ერთი გარანტია მოგცეთ, რაზეც საუბარია დღეს დეპარტამენტში — ნებისმიერ „ენჯეოსა“ თუ პარტიის წარმომადგენელს ექნება საშუალება, ნებისმიერი სახით გამოხატოს აზრი და იმუშაოს ჩვენთან ამა თუ იმ საკითხზე. რაც შეეხება ვეტერანების გაუსაძლის სოციალურ მდგომარეობას, ისინი საზოგადოების წევრები არიან, როცა ულხინს საზოგადოებას, ულხინთ ვეტერანებსაც. ვფიქრობ, ეს მათ შესანიშნავად ესმით, რადგან ამ ქვეყნის ერთგული შვილები არიან.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

ახ, კინტოვ, კინტოვ

რეზო შატაკიშვილი

თურმე შეიძლება იყო ამაყი, გამარჯვებული და თან გრცხვენოდეს. ასე იყო იმ დღეს, ვილნიუსში შალახო რომ დაუკრეს. კოსმოსში „ჩაკრულოთი“ გავედით, ევროპაში — „შალახოთი“. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირებისას დაკრულმა შალახომ მთლიანად გადაფარა ეს ისტორიული მოვლენა. სოციალურ ქსელებში ისეთი ყაყანი, გნიასი და ღრიანცელი ატყდა, აღარც ევროკავშირი ახსოვდა ვინმეს და აღარც ნატო. ისე, ჩვენში დარჩეს და, საქართველოს სიმბოლოს რანგში შალახო პირველად არ ყოფილა წარმოდგენილი — ზუსტად 20 წლის წინ, კანადაში, ტორონტოში მოხდა ეს ამბავი — გიორგი კანდელაკმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო ახალგაზრდებში — დელეგაციას საქართველოს ჰიმნი არ ჰქონდა, იქ ტორონტოში ცხოვრობდა ქართველი მოჭიდავე გივი სისაური, ის გავარდა სახლში და ქართული „მუსიკების“ კასეტა მიიტანა — შალახოზე უკეთესი ვერაფერი ამოარჩიეს და შალხო ჰიმნად დააკვრევინეს. რა ექნათ, რას წარმოიდგენდნენ, რომ ნათხოვარი ხელთათმანებით წასული კანდელაკი ჩემპიონი გახდებოდა და ჰიმნი დასჭირდებოდათ. სპორტსმენებმა სხვა ვერაფერი იშოვეს შალახოს გარდა და ახლა? ახლა მთლად ქვეყანას არ აღმოაჩნდა არაფერი, შალახოს გარდა? რატომ დაუკრეს და როგორ მოხვდა ვილნიუსში შალახო? ფაქტია, ეს ან ქართულმა მხარემ ჩაიტანა, ან მასპინძელმა დაახვედრა, მესამე ვარიანტი გამორიცხულია — კოსმოსიდან არავინ გამოგზავნიდა რამეს და რომც გამოეგზავნათ, „ჩაკრულო“ ვერც სულიკოდ იქცეოდა და ვერც შალახოდ.

საზოგადოების ნაწილმა დღევანდელი ხელისუფლება დაადანაშაულა „მუსიკალურ გაფორმებაში“. სოცქსელებში ყველა მძვინვარებდა, ვერავის გაეგო, ვის და რატომ დასჭირდა შალახო ამ ისტორიულ დღეს, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე ხელმოწერისას? აღშფოთებულ საზოგადოებას კოკა ყანდიაშვილი გამოეხმაურა, რომელიც FACEBOOK-ზე ამტკიცებდა რომ ყველაფერს, მათ შორის მუსიკალურ გაფორმებას, ორგანიზატორი ქვეყანა წყვეტს და მონაწილე ქვეყანასთან (ამ შემთხვევაში საქართველოსთან) არავინ ათანხმებსო. კოკას არგუმენტები არც ერთი მხრისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი. „ის კი მაღელვებს, ჩვენი პროტოკოლის სამსახურიდან და საელჩოდან არავის რომ არ მოაფიქრდა დეტალები შეეთანხმებინა. ფუჭია და მარტივი ტყუილი იმის მტკიცება, რომ ორგანიზატორი მხარე იღებს ასეთ საკითხებზე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას, რომლის გადახედვაც შეუძლებელია. ტყუილია ეგ“, — წერდა ნიკა გვარამია თავის „ვოლზე“. ირმა ინაშვილი კი „ვოლზე“ შეუვარდა კოკა ყანდიაშვილს და იქ გაუნიორწყლა ახსნა-განმარტება: „კარგით, არაფერი არავისთან არ თანხმდება, თურმე... ერთი კაცი როგორ არ აღმოჩნდა მანდ, ვინც ინტერესის გამო იკითხავდა, როგორ გაქვთ დაგეგმილი ჩვენი პრეზენტაცია? მომავალში გაითვალისწინეთ-თქო, ამას გეუბნებით. შევრცხვით, ეს უკვე განვლილი ეტაპია“. კოკა თავისას არ იშლიდა, ჰყვებოდა, ვინ როგორ ეძებს ამ დროს მუსიკას და ვინ ვისთან რას ათანხმებს, რომ თურმე: „ეს ყველაფერი ერთგვარი სიურპრიზია სტუმრისთვის — ამ კონკრეტულ შემთხვევაში — წარუმატებელი სიურპრიზი, სამწუხაროდ“. ინაშვილი კვლავ შეცდომის აღიარებისკენ მოუწოდებდა, სარკეში ჩავიხედოთ და შეცდომა ვაღიაროთ, ნიშნისმოგება კი არა გულისტკივილი მალაპარაკებს, ქვეყანაც შერცხვა, მინისტრებიც, პრეზიდენტიცო. კოკა არ თმობდა — „მე არ მიმაჩნია, რომ ჩვენ შევრცხვით!!! — ჩვენ დღეს დიდი გამარჯვების დღე გვაქვს. წარმატებები“. „კარგი, კოკა, შენ არ შერცხვი. სიმართლე გითხრა, სულ არ მაინტერესებს, კონკრეტულად შენ, გრძნობ თუ არა თავს შერცხვენილად. ქვეყანა შერცხვა და შენ და მე რა მოსატანი ვართ?“ — იყო ირმა ინაშვილის პასუხი. ვილნიუსში შალახოს მოხვედრის ყველაზე სარწმუნო ვერსია მაინც გოგა ხაჩიძეს ჰქონდა: „სავარაუდოდ, ეს მასპინძლების თვითშემოქმედება იყო. ჩამოვიდა ალბათ ვინმე სტუმრად, წავიყვანეთ რესტორანში, ვუმღერეთ სულიკო, ვაცეკვეთ შალახო და თვითონ გააკეთა დასკვნები ჩვენს ევროპელობა-აზიელობაზე. იმ ვერსიაზე არც კი მინდა ვიფიქრო, რომ ჩვენ ჩავედით ვილნიუსში, სულიკოს და შალახოს ფონოგრამით“. „მე ვცეკვავ შალახოს და მაშასადამე მე ვარ ევროპელი“, — წერდა ხაჩიძე და იმდენს ღადაობდა ამ თემაზე, რომ თავადაც მოუვიდა იაღლიში — კიდევ კარგი, კინტაური არ ჩართეს, თორემ იქ ვიღაცებს წითელი „პლატოკებით“ მოუწევდათ ჩამოვლაო... ანუ გოგა ხაჩიძეს ჰგონია, რომ კინტაური სხვაა და შალახო — სხვა. არადა, შალახო სწორედ კინტოების ცეკვაა და თუ ჩემი არ სჯერა, მკვლევარებს ჰკითხოს — „კინტოურ–ყარაჩოხლური ცეკვები XIX ს-ში ხშირად „ბაღდადურისა“ და „შალახოს“ სახელითაც გვხვდებოდა, იგივე მეორდება დღესაც“. მოკლედ, სურათი ასეთია — შალახო მასპინძელმა მხარემ აირჩია, ქრთულმა მხარემ არც იკითხა, რა და როგორ იქნებოდა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: პარაფირებული შალახო. სრულიად ჯანსაღი იყო საზოგადოების აღშფოთება, კინტაურ-შალახოს ვილნიუსში აჟღერებას რომ მოჰყვა, თუმცა ერთი რამ მაინც გამკვირვებია, ეს სწორედ ის საზოგადოებაა, რომელმაც სწორედ ამ დღეებში ანალოგიური ისტერია ატეხა დედაქალაქის მერად ნარმანიას კანდიდატურის წამოყენებაზე. იმაზე კი არ ატეხეს გნიასი, რომ ნარმანია, ვთქვათ, არაფრისმაქნისი მინისტრია, არამედ იმაზე, რომ თბილისელი არაა და თბილისის მერი ნაღდი თბილისელი უნდა იყოს. ჰოდა, თუ ნაღდ, „კარენნოი“ თბილისელობას აწვებიან ეს ჩვენი „გარადსკოი“ ტიპები, რაღად ეწყინათ ეს შალახო? განა, შალახო არაა „კარენნოი“ თბილისელების — კინტოების ცეკვა?

არა, მაინც რატომ დაგვახვედრეს შალახო, რა „გვინამიოკეს“, მთლად ევროპელები არ ხართო? „შალახო“ ხომ ნამდვილად არაა ევროპული კულტურის ნაწილი. მეტიც, ის ქართულიც არაა. დიახ, შალახო, კინატური — წმინდა თბილისური ფოლკლორი, მულტიკულტურული თბილისის პროდუქტია, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო ქართულთან. თბილისი იყო ახლოაღმოსავლეთის სავაჭრო, კულტურული მეტროპოლია, სადაც თავს იყრიდა ათასი ჯურის ხალხი, არაერთი კულტურა. თბილისმა მთელი ეს აღმოსავლური კულტურები გააერთიანა და შვა ახალი, თბილისური, რომელიც არაა ქართული იმიტომ, რომ საფუძვლად არ ედო ქართული. კულტურული ექსპანსია იმდენად ძლიერი იყო, რომ მათთან ქართული კულტურა დამარცხდა. დიახ, თბილისში ქართული კულტურა დამარცხდა უცხო კულტურებთან ომში. მოკლედ, შალახო თბილისურია, მაგრამ მასზე პრეტენზია აქვთ სომხებსაც, აზერბაიჯანელებსაც. ეს, ერთის მხრივ, გასაკვირი არცაა — შალახოს მელოდია აღმოსავლურია და ბევრად ახლოს დგას სომხურ, აზერბაიჯანულ მუსიკასთან, გარდა ამისა, სომხებს უხვად აქვთ შალახოს მსგავსი სხვა ცეკვებიც, თან კინტოების უმეტესობაც ხომ სომეხი იყო. მაგრამ... კინტო წმინდა თბილისური მოვლენაა, არც ქართულია, არც სომხური, არც აზერბაიჯანული, აღარც სპარსული — ერთგვარი მულტიკულტურული გოგლიმოგლია, თორემ თუ კინტო სომხური მოვლენაა, რატომ არ იყვნენ ერევანში? კინტო სოციალური მოვლენა იყო და არა ეთნიკური.

და მაინც ვინ იყვნენ კინტოები და რა ცეკვაა ეს შალახო თუ კინტაური? შალახოს, კინტაურს ხშირად იხსენიებენ „ტფილისელი ტრაკცუნცულა ბიჭების“ ცეკვად და არც თუ უსაფუძვლოდ. კინტაური რომ თავისი არსით ჰომეროტიული ცეკვაა, ქორეოგრაფებისთვისაც კარგადაა ცნობილი და მკვლევარებისთვისაც. ამ ცეკვის ძირები სპარსეთიდან მოდის და, ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ შალახოს ცეკვავდა ახალი ლამაზი ბიჭი, როდესაც შაჰთან შეჰყავდათ. ხვდებით რატომაც. შაჰს ბიჭების ჰარამხანაც ჰქონდა... სხვათაშორის, თავის წერილებში ზვიად გამსახურდიასაც აქვს ნახსენები, რომ ახალი ბიჭი შაჰის ჰარამხანაში სწორედ შალახოს ცეკვით შეჰყავდათ! კინტოების კასტა შუა საუკუნეების ირანში ჩამოყალიბდა. მასში, წყაროების მიხედვით, უმეტესად სომხები იყვნენ, იყვნენ სხვებიც – ათასი ჯურის ხალხი, ვინც იმდროინდელ სპარსეთში ცხოვრობდა, მათ შორის გადაჯიშებული, საჭურისი ქართველები. კინტო სოციალური კასტა იყო და არა ეთნიკური. მათი უმეტესობა ჰომოსექსუალი იყო, მათი ძირითადი ნავსაყუდელი კი აბანოები გახლდათ. კინტოების ერთი ნაწილი ხელის ბიჭებად მუშაობდა დიდგვაროვნებთან, ან ქალაქში წყალს ეზიდებოდნენ, თამბაქოს ჰყიდდნენ, მეორე ნაწილი ვაჭრობითა და აფერისტობით ირჩენდა თავს და თუ ძველ ირანულ წყაროებს ვერწმუნებით, „კინტომ რომ არ მოიტყუოს, ალბათ, მოკვდება, მაგათ ტყუილი და აფერისტობა ისე აქვს გვამში გამჯდარი, ერთმანეთსაც ხშირად ატყუებენ და ეს არც კი უკვირთ“.

საქართველოში კინტოები როსტომ მეფეს ჩამოუყვანია ხალხის გასარყვნელად, იმისთვის, რომ გაიოლებულიყო სპარსულ ტრადიციებთან ასიმილაცია. იმდროინდელ ქრონიკებში არის ინფორმაცია, რომ პირველი კინტოები სპარსეთიდან ჩამოსული სომხები იყვნენ. ილიას უნივერსიტეტის პროფესორს, ჟურნალისტსა და აღმოსავლეთმცოდნეს ოლეგ პანფილოვს მეტად საინტერესო კვლევა აქვს კინტოებზე. იგი ყურადღებას ამახვილებს იმ მსგავსებაზე, რაც აზიურ „ბაჩაბოზების“ ცეკვასა და ცეკვა კინტაურს შორის არსებობს. მისი თქმით, მსგავსია რიტმი, ხელისა და ტანის მოძრაობები, ტანსაცმელიც კი — მიუხედავად იმისა, რომ კინტაურს მამაკაცები შარვლებში ცეკვავენ, „ბაჩაბოზი“ კი ქალურად გადაცმული მამაკაცია. ეს „ბაჩაბოზები“ ადრეული ასაკიდან საგანგებოდ „გამოჰყავდათ“ ლამაზი ბიჭებისგან. სწორედ ეს „ბაჩაბოზით“ გატაცება ჰყვაოდა როსტომ მეფის დროს სპარსეთში, ამიტომ იგი სრულიად ბუნებრივი იყო როსტომ მეფისთვის, რომელიც შაჰ აბასის კარზე იზრდებოდა. ასე რომ, არც ისაა გასაკვირი, რომ საქართველოშიც გადმონერგა ეს ბაჩაბოზები ანუ კინტოები. რატომ ჰქვიათ ამ ბაჩაბოზებს კინტოები? „ბაჩაბოზის“ გარდა, ირანულ ენებში მათი დამცინავი სახელიცაა შემორჩენილი კუნტე (ტაჯიკურსა და დავრიში), და კუნდეჰ სპასრული ენის ხორასნულ დიალექტში, რაც წარმოებულია სიტყვიდან კუნ — „უკანალი“. „სიტყვასიტყვით კი ეს ნიშნავს უკანალის მიმცემს ანუ პედერასტს, უფრო მარტივ ვარიანტში კი პირს, რომელიც მსუბუქი ყოფაქცევის ქალს გამოსახავს. ეს სიტყვა დღემდე გავრცელებულია და მას იყენებენ, როდესაც უნდათ, ვინმეს ბრალი დასდონ მამათმავლობაში“, — წერს პანფილოვი, რომელიც ვარაუდობს, რომ საქართველოში როსტომ მეფის ჩამოყვანილ ბაჩაბოზებს დასცინოდნენ და ზიზღით მოიხსენიებდნენ კუნტე-თი ან კუნდეჰ-ით, რამაც ტრანსფორმირებულ ვარიანტში მოგვცა „კინტო“.

პანფილოვის ვარაუდით, საქართველოში მოხვედრილი კინტოები, როსტომ მეფის შემდეგ, უსაქმოდ დარჩნენ, ნელ-ნელა დაიწყო მათი ტრანსფორმაცია და მოცეკვავე ბიჭებიდან წვრილ ვაჭრებად გადაიქცნენ, მაგრამ კინტოს იმიჯმა სექსუალური ელფერი შეინარჩუნა. კინტოებმა პროფესია შეიცვალეს, უფრო სწორად, რაც ადრე პროფესია იყო (სექსუალური გართობა), ჰობად დაიტოვეს — ძველ თბილისურ ლეგენდებში კინტო წარმოდგენილია მსუბუქი ქცევის მამაკაცად, რომელიც კაცებს ართობს წვეულებებზე. ასევე, კინტოები პატარა ბიჭისადმი სიყვარულს უმღეროდნენ. ის სახე, რომლითაც ჩვენ კინტოებს ვიცნობთ, მათ 19-ე საუკუნეში შეიძინეს, როდესაც ირანი რუსეთმა შეცვალა და ისინი ახალ ცხოვრებას ეგუებოდნენ. თბილისელმა კინტოებმა ყველაფერი გააერთიანეს — თბილისელი კინტო ვაჭარიც იყო, აფერისტიც, ხელზე მოსამსახურეც და ხშირ შემთხვევაში ჰომოსექსუალიც. ირანელი მოგზაური მეჯოდოს-სალტანე 1865 წელს წერდა: „კავკასიაში ბევრი ირანული ყოფის ხალხია, ტფილისში ყველგან გადააწყდებით ირანელი კინტოებივით გამოწყობილ ნახევარკაცებს რომლებიც ხალხს ატყუებენ.“ რაფიელ ერისთავი დაუნდობლად ილაშქრებდა ამ ახალი მოქალაქეების წინააღმდეგ: „დახე, ჩვენი ქალაქი რარიგად გამოცვლილა, ვერავის ვსცნობ, არც მცნობენ, კინტოებით გავსილა“. კინტოების აღვირახსნილი ცხოვრების წესის წინააღმდეგ ასევე დაუნდობლად ილაშქრებდა იაკობ გოგებაშვილი: „ტფილისში დღეს იმდენი სასირცხვო ხალხი ცხოვრობს, სათვალავი, რო აერევა კაცსა. ქალაქში კინტო-მატრაბაზები ყველას ყვლიფავენ და შავზე თეთრს იმტკიცებიან.“

იოსებ გრიშაშვილის მიხედვით, კინტო ყარაჩოღელების გადაგვარებული მოდგმაა. ძველი ტფილისის დიდი ტრფიალი — იოსებ გრიშაშვილი წუხდა, რომ კინტოსა და ყარაჩოღელს ერთმანეთში ურევდნენ და ძველი ტფილისის სინდისის შენარჩუნებისთვის ამ ორ ტიპს განაცალკევებდა. „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ იოსებ გრიშაშვილი წერს, რომ კინტო არის გაქსუებული, დაღლარა, თახსირი. თვალმანკიერია და გულხენეში; კინტო ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს, რომელშიაც ვაუკაცური ელემენტი ძალიან ნაკლებადაა. გრიშაშვილიც წერს, რომ კინტოს გასართობია — ყომარი, ბილწ-სიტყვაობა, სოდომგომორის ცოდვა და ხელმრუშობა. თბილისელი კინტოები ჭრელ აბანოებში იკრიბებოდნენ და იქ, რაც ხდებოდა დიდი წარმოდგენა არ სჭირდება. კინტო თბილისის ყოფას 20-ე საუკუნის 30-იან წლებამდე შემორჩა. რატომღაც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ეს ვიგინდარა კინტოები გააპატიოსნა — მათი ცხოვრების წესი მიიჩქმალა და კინტო გამოიყვანეს ჩაგრული კლასის წარმომადგენლად, წვრილ ვაჭრებად. ვაჭრუკუნებად გამოაცხადეს და მათ სექსუალურ მიდრეკილებებზე აღარავინ საუბრობდა. მეტიც, კომუნისტებმა კინტოების იდეალიზება დაიწყეს. თბილისური ფოლკლორი ერთადერთ ქალაქურ ფოლკლორად გამოაცხადეს, კინტოების, ყარაჩოღლების დანატოვარი აკადემიურად გადამუშავდა და დამკვიდრდა ყველა ანსამბლის რეპერტუარში. მეტიც, შევიდა დანარჩენი საქართველოს ცხოვრებაშიც და ყველა ქართულ ქორწილში. თბილისობის დღესასწაული რომ შემოიღეს, ამ დღესასწაულის სიმბოლოდ, ცენტრალურ ფიგურად სწორედ კინტოები აქციეს. ეს ჩვენ ვაქციეთ კინტოები ხელიხელსაგოგმანებად, „გარადსკოი“ სიამაყედ, ღირსებად და რას ვერჩით უცხოელებს? საიდან უნდა ეფიქრათ, რომ რასაც აქ სიამაყით ვუკრავთ, იქ გაგვიტყდებოდა? ჯიგრებო, ახლა გაგვიტყდა შალახო? პრობლემა კი იცით რა არის? ლიტვაშიც კი, სადაც საქართველო მართლაც უყვართ, ქართულ კულტურაზე ასეთი წარმოდგენა აქვთ. არ ხდება ქართული კულტურის სათანადოდ პოპულარიზაცია და რას ვითხოვთ? აგერ, ლონდონში ქართული კულტურის დღეებს რომ გამართავ და გალაკტიონის, ვაჟა-ფშაველას ნაცვლად, დათო მაღრაძეს გაიტან, ნუღარც შალახო გაგიკვირდება...

რატომ მცირდება ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და განათლების სამინისტროების დაფინანსება და რა პროგრამებს დააფინანსებს 2014 წლის ბიუჯეტი?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი პარლამენტს უკვე გადაუგზავნა. მართალია, მთავრობის პრიორიტეტი კვლავ განათლება, ჯანდაცვა და სოფლის მეურნეობაა, მაგრამ მომდევნო წლიდან სამივე სამინისტროს დაფინანსება რამდენიმე მილიონი ლარით შემცირდება. სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტს საქართველოს პარლამენტი მიმდინარე კვირიდან განიხილავს. ფინანსთა სამინისტროში „ვერსიას" განუმარტეს, რომ მიუხედავად რამდენიმე მილიონლარიანი შემცირებისა, ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების დაფინანსება 2013 წელთან შედარებით, მაინც გაზრდილია.

სამთავრობო პროგრამის — „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" ფარგლებში, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია იმ ღონისძიებების დაფინანსება, რაც სხვადასხვა სფეროს რეფორმებს გულისხმობს. გარდა ამისა, მთავრობა სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს ჯანდაცვის, საპენსიო და სოციალური დაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის წინა ვარიანტთან შედარებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 42 000 000 ლარით შემცირდა. როგორც ფინანსთა სამინისტროში განმარტეს, ეს კორექტირება მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემცირებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამის ეკონომია მიმდინარე წელსაც 100 000 000 ლარია, რათა პროგრამის თითოეულ ბენეფიციარზე თანხა იმავე მოცულობით გათვლილიყო, რა მოცულობითაც სადაზღვევო კომპანიების მიერ იხარჯებოდა, თუმცა პროგრამის 4 თვის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ეკონომია თვეში 40%-50%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროში „ვერსიას" დაუზუსტეს, რო-მ ჯანდაცვის სამინისტროსთვის, 2014 წელს გამოყოფილი ასიგნებები, სრულად უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების დაფინანსებას. შემცირების მიუხედავად, წინა წელთან შედარებით, დავით სერგეევიჩის უწყების დაფინანსება 313 000 000 ლარით გაიზარდა და 2014 წელს 2 658 000 000 ლარი შეადგინა, რაც ასე გადანაწილდება: მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის 1 326 100 000 ლარია გამოყოფილი. ამ თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია ტერიტორიული მთლიანობისთვის, საბრძოლო მოქმედებებსა და სამშვიდობო ოპერაციებში დაღუპულთა ოჯახებზე, ყოველთვიური 500-ლარიანი კომპენსაციების გაცემა; სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართა სოციალური დახმარებებისთვის, ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში 624 800 000 ლარია გამოყოფილი. თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია 2014 წლის 1 მარტიდან დევნილთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობების ზრდა 45 ლარამდე; მოსახლეობის დაზღვევასა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის 2014 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში 478 100 000 ლარია გამოყოფილი; ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა პროგრამებისთვის — 127 700 000 ლარი; სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციისა და აღჭურვისთვის — 29 200 000 ლარი; ხოლო შრომითი პირობების მონიტორინგისა და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული გადამზადებისთვის 3 400 000 ლარია გათვალისწინებული.

2014 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება 26 500 000 ლარით შემცირდა. როგორც „ვერსიას" ფინანსთა სამინისტროში განუმარტეს, შალვა ფიფიას უწყების დაფინანსება იმიტომ შემცირდა, რომ მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილ ასიგნებებში 50 000 000 ლარზე მეტი ეკონომია წარმოიქმნა. 50 000 000-ლარიანი ეკონომიით, მიმდინარე წლის ბოლომდე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად, წინა წლებში აღებული სესხის ის ნაწილი დაიფარება, რომლის დაფარვის ვადა 2014 წლის დასაწყისში დადგება. 30 000 000 ლარზე მეტი კი შეღავათიანი აგროკრედიტების დაფინანსებას მოხმარდება.

2014 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება 2013 წელთან შედარებით, 22 500 000 ლარით იზრდება და 263 500 000 ლარს შეადგენს. ამ თანხის ფარგლებში, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისთვის 71 100 000 ლარია გათვალისწინებული; 63 800 000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტების დაფინანსებას მოხმარდება, ხოლო 50 000 000 ლარი — მცირემეწარმიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობას.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება, 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს 84 300 000 ლარით იზრდება და 754 300 000 ლარს შეადგენს. მათ შორის: სკოლების ვაუჩერული დაფინანსებისთვის 380 000 000 ლარია გამოყოფილი, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია მიმდინარე წლის განმავლობაში მასწავლებლებისა და სკოლების ადმინისტრაციული პერსონალისთვის გაზრდილი ხელფასების დაფინანსება. თანხა გათვალისწინებულია გაზრდილი რაოდენობის სერტიფიცირებული მასწავლებლების დანამატებისთვისაც.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და მათი აღჭურვისთვის 100 000 000 ლარზე მეტია გამოყოფილი, მათ შორის MCC-ის თანხა — 29 100 000 ლარი. ამ თანხის ფარგლებში, მომდევნო წელს, რამდენიმე ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა დაიწყება; პროფესიული სასწავლებლების დაფინანსება 17 500 000 ლარით გაიზარდა და 28 700 000 ლარი შეადგინა.

2014 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში, საჯარო სკოლების პირველკლასელების კომპიუტერებით უზრუნველყოფისთვის 19 300 000 ლარია გამოყოფილი; მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისთვის — 9 000 000 ლარი; 10 000 000 ლარზე მეტი მოხმარდება სოფლებში მცხოვრები იმ მოსწავლეების ავტობუსით უზრუნველყოფას, რომლებსაც სკოლაში მისასვლელად შორი მანძილის გავლა უწევთ.

მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისთვის, 2014 წლის ბიუჯეტში 49 700 000 ლარია გათვალისწინებული, რაც 2013 წლის გეგმაზე 14 000 000 ლარით, ხოლო კანონპროექტის წინა ვარიანტთან შედარებით 11 300 000 ლარით მეტია; სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილი გრანტები 76 500 000 ლარს შეადგენს. ამ თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია, როგორც პრიორიტეტულ ფაკულტეტებზე უფასო სწავლის, ასევე უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის დაფინანსება.

პარლამენტში წარდგენილი ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტის მიხედვით, 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი 9 080 000 000 ლარს შეადგენს, რაც შემდეგი წყაროებიდან ფინანსდება: საგადასახადო შემოსავლები — 6 820 000 ლარი; გრანტები — 144 000 000 ლარი; სხვა შემოსავლები — 355 000 000 ლარი; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მისაღები სახსრები — 80 000 000 ლარი; გასულ წლებში გაცემული სესხების დაბრუნება — 70 000 000 ლარი; მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი — 136 000 000 ლარი; საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები — 300 000 000 ლარი; ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი საინვესტიციო კრედიტები — 600 000 000 ლარი; სხვადასხვა ვადიანობის მქონე სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვება — 400 000 000 ლარი; სახელმწიფო ხაზინაში არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება — 175 000 000 ლარი.

„თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა კოალიციის შექმნაზე არ ვიზრუნეთ, დარღვეული პოლიტიკური ბალანსი ვერ აღდგება"

რუსუდან შელია
557-100-768

2 დეკემბერს, გაზეთ „ვერსიისა" და მედიაკავშირ „ობიექტივის" ერთობლივი პროექტის „ვერსიის საათის" სტუმარი პარტია „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია გახლდათ, რომელმაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შეაფასა და არასაპარლამენტო პარტიების შესაძლო გაერთიანებაზეც ისაუბრა.

— 2 დეკემბერს, არასაპარლამენტო პარტიის წარმომადგენლები „ქართული დასის" ოფისში თვითმმართველობის კოდექსში არსებული ლაფსუსების განსახილველად კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ. საკამათოა საარჩევნო კოდექსიც, რომლის განსახილველად ხელისუფლებამ ფორმალურად ინტერფრაქციული ჯგუფი შემოგვთავაზა. ჩვენი მოთხოვნაა ინტერპარტიული ჯგუფის შექმნა, სადაც მონაწილეობას არა მხოლოდ ფრაქციები პოლიტიკური პარტიებიც მიიღებენ. მოგეხსენებათ, ფრაქცია მხოლოდ ორ პოლიტიკურ ძალას — „ქართულ ოცნებასა" და ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს, დანარჩენები კი თურმე, სტუმრის სტატუსით უნდა დავესწროთ. მიგვაჩნია, რომ თვითმმართველობის რეფორმა იმდენად მნიშვნელოვანია, ცვლილებებში ფართო სპექტრი უნდა იყოს ჩართული. ისიც უნდა ითქვას, რომ საარჩევნო კოდექსი „ქართულ ოცნებასა" და ნაციონალურ მოძრაობაზე იდეალურადაა მორგებული.

— ინტერფრაქციულმა ჯგუფმა, არასაპარლამენტო პარტიებთან ერთად, საარჩევნო კოდექსზე ერთი წლის განმავლობაში ისე იმუშავა, შეთანხმებას ვერც ერთ საკითხზე მიაღწიეთ?

— შედეგი საკმაოდ მცირე დოზით მივიღეთ, ამიტომ ხელისუფლებაც მიხვდა, რომ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება აუცილებელია. ახლა უკვე დროც აღარ გვაქვს — კონსტიტუციის მიხედვით არჩევნები გაზაფხულზე უნდა ჩატარდეს, ამიტომ კოდექსი უახლოეს მომავალში უნდა მივიღოთ. სამწუხაროდ, დღემდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ნაციონალური მოძრაობის მიერ დატოვებულ მახინჯ ფორმებს ინარჩუნებენ. როგორც ადრე, ყველაფერი ნაციონალურ მოძრაობასა და მის სატელიტ პარტიებზე იყო მორგებული, დღესაც ზუსტად იგივე მეორდება. როგორც სააკაშვილს ჰყავდა პოლიტიკური „გოშიები", დღეს „ქართული ოცნებისთვის" ამ როლს ნაციონალური მოძრაობა ასრულებს.

— ფაქტია, დღეს პირადად იმ პარტიებთან თანამშრომლობთ, წლების წინ რომ ნაციონალური მოძრაობის სატელიტებს უწოდებდით.

— ნაციონალური მოძრაობის სატელიტსა და მოღალატეებს ამ ადამიანებს ბიძინა ივანიშვილი უწოდებდა, მაგრამ არჩევნების შემდეგ „ოცნებაში" აღმოჩნდნენ — თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ნაცმოძრაობის ყოფილი წევრია, მისი მოადგილე კი ქრისტიან-დემოკრატების სახე გახდა. როგორც ჩანს, ივანიშვილისთვის მოღალატის სტატუსი პირობითია. რაც შეეხება ჩვენს ამჟამინდელ თანამშრომლობას, მათთან მოლაპარაკებებს მხოლოდ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ვაწარმოებთ. ზოგიერთები მართლაც იყვნენ მოღალატეები, რომელთა მიმართ ჩემი აზრი არ შეცვლილა. სხვათა შორის, ხელისუფლებამ ინტერფრაქციულ ჯგუფში გია თორთლაძე, პაატა დავითაია და სხვები მიიწვია, „ქართული დასი", თავისუფალი დემოკრატები და ნინო ბურჯანაძის პარტია არავის გახსენებია.

— მმართველი კოალიცია განმარტავს, რომ დასახელებული პოლიტიკური ძალები არაკვალიფიციური სუბიექტები არიან...

— როგორ შეიძლება, არაკვალიფიციურ პარტიად ჩაგვთვალონ, ნოღაიდელის ყოფილი პარტია კი, რომლის სახელიც საზოგადოების უმრავლესობამ არ იცის, კვალიფიციურ სუბიექტად მიიჩნეოდეს?! უბრალოდ, ხელისუფლება კომფორტულად გრძნობს მათთან თავს, რადგან კონკურენციის შიში არ აქვს. სამართლიანი იქნებოდა, პროცესებში ყველა ის ძალა მონაწილეობდეს, რომელსაც პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა აქვს.

— ცოტა ხნის წინ, არასაპარლამენტო პარტიებისგან კოალიციის შექმნა დააანონსეთ. თვითმმართველობის არჩევნებამდე ვისთან გეგმავთ გაერთიანებას?

— თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა კოალიციის შექმნაზე არ ვიზრუნეთ, დარღვეული პოლიტიკური ბალანსი ვერ აღდგება. ნაციონალების ყველა პრობლემა სწორედ დამბალანსებელი ძალის უქონლობამ განაპირობა. „ქართული ოცნებაც" იგივე გზას მიყვება, რადგან მას კონკურენციას ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ უწევს. კოალიცია „ქართული ოცნებაც" ჩაკეტილ გაერთიანებად იქცა. დღეს კონკრეტულად ვერაფერს ვამბობ, რადგან ამ ეტაპზე, კონსულტაციები მხოლოდ ორ-სამ პარტიასთან მიმდინარეობს და ჩამოყალიბების პროცესში ვართ.

— „ქართული ოცნების" უკვე მერობის კანდიდატმა, დავით ნარმანიამ არასაპარლამენტო პარტიებს სიცრუის გამო ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, რადგან ამტკიცებს, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები რეფორმის განხილვაში თავიდანვე ჩართულები იყვნენ.

— თვითმმართველობის კოდექსში არასაპარლამენტო პარტიებს მონაწილეობა არ მიგვიღია. როცა ნარმანიამ ეს განცხადება გააკეთა, დავინტერესდი, რომელმა პოლიტიკურმა ძალებმა მიიღეს კოდექსის განხილვაში მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ საკრებულოში ირაკლი მელაშვილი და მამუკა კაციტაძე ერთმანეთს შეხვედრიან, ყავის სმის პარალელურად, თბილისის კანონზე და არა თვითმმართველობის კოდექსზე უსაუბრიათ. რაც შეეხება დავით ნარმანიას, წესიერი და განათლებული ადამიანია, მაგრამ მიმაჩნია, რომ მაღალ პოსტებზე ადამიანებმა საკუთარი თავი თავადვე უნდა შექმნან. ქართული პოლიტიკა ხათრით არჩეულებსა თუ დანიშნულებს საკმაოდ მკაცრად ექცევა და მისი მსგავსი ადამიანები იმ ქარიშხალს ვერ უძლებენ, რისი გამოვლაც მომავალ მერს მოუწევს. თბილისში საქართველოს მოსახლეობის 50%-ზე მეტი ცხოვრობს, ამიტომ ბუნებრივია, ამ თანამდებობაზე პოლიტიკური ფიგურა უნდა ავირჩიოთ, მხოლოდ კარგი მენეჯერობა წარმატებისთვის არ კმარა.

1. ინდოეთის უძველესი სალიტერატურო ენა
2. იაპონური ავტომარკა
3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი
4. უძველესი დროის ციხესიმაგრე თბილისში
5. მსხვილი სეტყვა
6. სახელი, რომელიც კოლუმბმა უწოდა ჰაიტის
7. ჰოლივუდის მსახიობი სიუზენ ...
8. იგივეა, რაც იმედი
9. სადამ ჰუსეინის ქვეყანა
10. სოფელი დუშეთის რაიონში
11. გოგია კენკიშვილის ძმაკაცი
12. მშვენიერი ელენეს მომტაცებელი
13. სპეც. ავტონომიური ტერიტორია ჩინეთში
14. თვალის ერთ-ერთი გარსი
15. იგივეა, რაც აკუშერი
16. იმპრესიონისტი ... მონე
17. ქალაქი-პორტი უკრაინაში
18. ქართველ ღვთაებათა დედა
19. იგივეა, რაც ზეგანი
20. მაღალი ხარისხის ყავა
21. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
22. თბილისის საფეხბურთო კლუბი
23. ვეზუვის ამოფრქ. განადგურებული ანტიკ. ქალაქი
24. ავადმყოფური შიში საკუთ. ჯანმრთელობის გამო
25. სპორტული ნაწარმის ფირმა
26. რუსული ჯიპი
27. კაბო-ვერდეს დედაქალაქი
28. მითიური მებრძოლი ქალი
29. პოლონელი პოეტი ... მიცკევიჩი
30. დენის სიმძლავრის ერთეული
31. ჰოლივუდის მსახიობი მერილ ...
32. საქართველოს მთავარმართებელი
33. თვითმფრინავის მართვის სპეციალისტი
34. საკურორტო ქალაქი სომხეთში
35. ძალიან პატარა სიმაღლის ადამიანი
36. იგივეა, რაც დრო, ხანა
37. სახელ „ირაკლის“ კნინობითი ფორმა
38. არტურ ... დოილი
39. მეფის ვეზირი „სიბრძნე-სიცრუისაში“
40. მარიტას ქმარი „ნატვრის ხეში“
41. სპარსი პოეტი ... ხაიამი
42. სამხრეთ ჩინეთში მცხოვრები ხალხი
43. ცხენის კუდის ბეწვი
44. მეჯღანუაშვილის სახელი
45. ბალზაკის სახელი
46. ქართული ანბანის პირველი ასო
47. ირლანდიის რესპუბლიკური არმია
48. ქართველი მოჭადრაკე ქალი
49. ახლომხედველობა
50. ერთ-ერთი ამინომჟავა
51. ხმელ. ერთ-ერთი ზოოგეოგრაფიული დანაყოფი
52. მოთელილი ნაბდის ჩექმა
53. ეროსი მანჯგალაძის მშობლიური სოფელი
54. პირველი კოსმონავტი
55. ინდოეთის დედაქალაქი
56. იაპონიის დედაქალაქი
57. ფილიპინების უმაღლესი მწვერვალი
58. ჰომეროსის პოემა
59. ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში
60. ოფელიას ძმა „ჰამლეტში“
61. ქიმიური ელემენტი, მყიფე ლითონი
62. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
63. ჩვილი ბავშვის „პირველი“ სიტყვა
64. იაზონის ხომალდი
65. თბილისის ერთ-ერთი ბაზრობის სახელწოდება
66. ხალხური კომედიის ჟანრი ძვ. რომში
67. (ცრუმორწ.) კუდიანების უფროსი
68. (ძვ.) ხუთკაპიკიანი მონეტა
69. სანელებელი მცენარე
70. რომაელი მხედართმთავარი
71. არაბული ფლეიტა
72. რძეში მოხარშული ცომის წვრილი ნაჭრები
73. სასახლე - იტალიაში
74. „ლეკვი ლომისა სწორია, - იყოს, თუნდა ხვადი.“
75. ერთეულთა საერთაშ. სისტემა
76. „ინტერნაციონალური“ მდინარე ევროპაში
77. ჰოლივუდის მსახიობი ... ბერიმორი
78. ორსახოვანი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში
79. ებრაელთა წინამძღოლი ... ნავე
80. მდინარე ესპანეთში
81. ნბა-ს ვარსკვლავი ... ბრაიანტი
82. მაუგლის მეგობარი პითონი
83. სასიგნალო ტივტივა წყალზე

ათეისტებს ეკლესია გაუხსნეს

დიდ ბრიტანეთში ათეისტებისთვის ეკლესია გაიხსნა. მანჩესტერული მოძრაობა „კვირის ასამბლეის“ კრება თითქმის ისევე ტარდება, როგორც მსახურება — მღერის გუნდი და აგროვებენ შემოწირულობას, თუმცა სიტყვასაც არ ამბობენ უფალსა და რელიგიაზე. მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესიონალი კომიკოსი სანდერსონ ჯონსი აღნიშნავს, რომ ნისლიანი ალბიონის მკვიდრთა დაახლოებით 35% ათეისტია. შეხვედრებზე ჩაისაც მიირთმევენ ღვეზელებთან ერთად, საეკლესიო საგალობლების ნაცვლად, „მრევლს“ ჰიტების შესრულებას, ბიბლიის ნაცვლად კი, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ წაკითხვას სთავაზობენ.

ჰოროსკოპი
4 დეკემბერი

ვერძი — დღეს უნდა მოხდეს მოვლენა, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. შესაძლოა, გეგმების გადახედვა დაგჭირდეთ, რადგან ნანატრ ვითარებაში ყველაზე შეუფერებელ დროს აღმოჩნდებით.

კურო — თუკი ასე თავგამოდებით ცდილობთ აკრძალვების დარღვევას, მზად იყავით, რომ ამისგან კარგ ვერაფერს მიიღებთ. ნუ შეეცდებით დღეს იმით დაკავდეთ, რაშიც ძლიერი არ ხართ.

ტყუპები — დღეს ტვუპები ერთ ადგილზე ვერ გაჩერდებიან. შეეცადეთ, ყველაფერს არ მოედოთ — სჯობს, მთელი ძალისხმევა ერთ, კონკრეტულ საქმეს მოახმაროთ. საღამოს რომანტიკული შეხვედრის ალბათობა დიდია.

კირჩხიბი — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულებმა, შესაძლოა, საბედისწერო შეცდომა დაუშვათ. გაითვალისწინეთ გარშემომყოფების რჩევები — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გგონიათ.

ლომი — გაჭირდებათ, ზუსტად იცოდეთ, ვის არ მიაქციოთ ყურადღება და როგორ იმოქმედოთ კრიტიკულ ვითარებაში. თქვენი აკურატულობა დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ კონფლიქტი, რომლის ალბათობაც დიდია.

ქალწული — საქმიანი შეხვედრა ნაყოფიერად ჩაივლის, თუმცა ნაკლებად ემოციური უნდა იყოთ და ნებისმიერი გადაწყვეტილება ცივი გონებით მიიღოთ.

სასწორი — დაძაბულ ვითარებაში აღმოჩნდებით, თუ საკითხის მშვიდობიანად მოგვარებას ვერ შეძლებთ. თქვენი მოსმენა არ სურთ, მაგრამ თავს უკან დახევის უფლება არ უნდა მისცეთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, ტემში შეანელონ და ამოისუნთქონ. ეს გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენებათ, რისთვის იღვწით ასე გამალებით.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს შეუძლიათ, დილიდან საღამომდე ინებივრონ და ყოველი წამით დატკბნენ. განსაკუთრებით კარგი კი საღამო იქნება, რომელსაც მარტოობაში ნამდვილად არ გაატარებთ.

თხის რქა — რეალური შანსი გაქვთ, გუშინდელი მტრები მოკავშირეებად აქციოთ, მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამის რეალიზება ძალიან ადვილი იქნება.

მერწყული — მერწყულებს, შესაძლოა, საკმაოდ მკაცრად მოექცნენ, მაგრამ თუ საქმეში იუმორის გრძნობას ჩართავთ, ყველაფერი ძალიან მარტივად მოგვარდება.

თევზები — ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და გააცნობიერეთ, რომ ნაკლი ყველას აქვს, მათ შორის თქვენც. თუ საკუთარ პოზიციას ბოლომდე დაიცავთ, დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

ფეხბურთელს სქესის გარკვევა მოსთხოვეს

დღეს მსოფლიოში ქალთა ფეხბურთი საკმაოდ პოპულარულია და როგორც ჩანს, სპორტსმენი ქალბატონების ცხოვრებაც ისეთივე სკანდალურია, როგორც მამაკაცი ფეხბურთელებისა. 26 წლის თავდამსხმელი ეუნ სეონი ახალ სკანდალში გაეხვია — მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელები კატეგორიულად მოითხოვენ, კიდევ ერთხელ ჩატარდეს გამჭვირვალე გენდერული ტესტი და დადგინდეს, ფეხბურთელი ნამდვილად ქალია თუ არა. ეს მოთხოვნა იმან განაპირობა, რომ ქალმა სპორტსმენმა მსოფლიოში პოპულარული ფეხბურთელი კაცების რეკორდიც კი მოხსნა, როცა 22 თამაშში 19 გოლი გაიტანა. მწვრთნელები აცხადებენ, რომ მიუხედავად ინტენსიური ვარჯიშისა, სპორტის ამ სახეობაში სუსტი სქესის წარმომადგენელი ასეთ წარმატებას მაინც ვერასოდეს მიაღწევს და ვერც ფიზიკურ დატვირთვას გაუძლებსო. ეჭვს ამძაფრებს ეუნის გარეგნობაც — თანაგუნდელი გოგონებისგან განსხვავებით, მისი სიმაღლე 180 სანტიმერია, წონა 74 კგ და სახითაც ბიჭს უფრო ჰგავს. ფეხბურთის ფედერაციაში ტესტის ჩატარებას არ აპირებენ — ბოიკოტი წარმატებულმა თამაშმა და გუნდის გამარჯვებამ გამოიწვია, ამიტომ ფეხბურთელის უფლებების შელახვას არ დაუშვებთო.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ინტერნეტში დეზინფორმაციის გავრცელებისთვის დააპატიმრებენ

ჩინეთში ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც სისხლის სამართლის სასჯელს, თავისუფლების აღკვეთასაც კი ითვალისწინებს მათ მიმართ, ვინც ინტერნეტში ჭორებსა და დეზინფორმაციას ავრცელებს. ახალი კანონი ტყუილის ავტორს პასუხს აგებინებს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ქსელში პოპულარობას ჰპოვებს. მაგალითად, ცრუ-ინფორმატორს, თუკი ის 500-მდე გამოხმაურებას მიიღებს, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალი კანონის შემოღება ინტერნეტში „უპასუხისმგებლო ჭორებზე“ საზოგადოების რეაქციით ახსნეს. აღსანიშნავია, რომ ქსელში ცილისწამების წინააღმდეგ ბრძოლა რამდენიმე თვის წინ დაიწყო — ბოლო დროს ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის ასობით ადამიანი დაკითხეს, რომელთა უმრავლესობა შემდეგ საპატიმროში მოხვდა.

ნორვეგიელები ახალი შოუთი ერთობიან

სკანდინავიაში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ე.წ. შენელებული ტელევიზია. შარშან ასეთი რამდენიმე პროექტი განხორციელდა, ახლახან კი, „შენელებული ექშენის“ კიდევ ერთი უჩვეულო შოუ ამოქმედდა — ნორვეგიელი მაყურებლისთვის ტელევიზიით ქსოვის რეალითიშოუ გადის. ერთ-ერთ რეიტინგულ ტელეარხზე, ქუდებისა და წინდების შექმნის პროცესს აჩვენებენ ისე, რომ არც ერთი ეტაპი არ არის გამოტოვებული. თავიდან მაყურებელი აკვირდება, როგორც კრეჭენ ცხვარს, მერე როგორ იქმნება ბაწარი, მერე კი შოუს მონაწილეები დიდი გულმოდგინებით იწყებენ ქსოვას. ეს კი ნორვეგიის ტელეინდუსტრიაში რევოლუციურ ნაბიჯად მიიჩნევა. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალი „შენელებული ტელევიზიისაა“, რომელიც თანამედროვე ადამიანს მეგაპოლისების გიჟური ტემპისგან განტვირთვის საშუალებას აძლევს.

ჰოროსკოპი
5 დეკემბერი

ვერძი — ვერძებს დღე კოლეგებთან, მშობლებსა და ნათესავებთან ურთიერთობაში სირთულეს ჰპირდება. სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით, საღამოს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემებიც გაჩნდეს.

კურო — დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დასრულებთ, რაც თქვენი ახლობლების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, რაც ცხოვრების წვრილმანების მნიშვნელობას შეგახსენებთ.

ტყუპები — დღე საუკეთესოა საქმიანი მოგზაურობისა და მოლაპარაკებისთვის. შესაფერისი მომენტია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გასარკვევადაც.

კირჩხიბი — კირჩხიბებს ფინანსური დანაკარგი ელის. ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, საყვარელ ადამიანთან შეხვედრისას, ურთიერთობების გართულების ალბათობა დიდია, არის დაშორების რისკიც.

ლომი — დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან ნაკლებსასურველ ვითარებაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება.

ქალწული — ქალწულები ყურადღების ცენტრში იქნებიან, მაგრამ წარუმატებელი დღეა ინტიმური ურთიერთობისთვის, სამაგიეროდ ყველა კომერციული ოპერაცია ისე დასრულდება, როგორც გეგმავდით.

სასწორი — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის, სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ.

ღრიანკალი — დღე მაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე ვალდებულება დიდ ენერგიას წაიღებს, ამიტომ აჯობებს, საღამო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა.

მშვილდოსანი — ადვილად შეძლებთ პატარა შეცდომების დამალვას, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული ფინანსური დანაკარგი, რომელიმე კომპანიისის უსინდისობის გამო.

თხის რქა — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაც გაუგებრობასა და წყენას გამოიწვევს.

მერწყული — ახალი აღმოჩენა გელით, ადვილი არ იქნება ცდუნებასთან გამკლავება, ასევე გარშემომყოფების ნეგატიური გავლენისგან გათავისუფლება, ამიტომ სჯობს, თავი აარიდოთ ზედმეტ წუწუნს უბედობასა და სხვების მხარდაჭერის არარსებობაზე.

თევზები — ფინანსური დანაკარგი გელით, სახლში დაძაბული ატმოსფერო კი იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მგზავრობისთვის.

სუდოკუ ყველანაირი

ადვილი

			1	3			7	
		6	5		9		3	1
					6	5	4	
4						7	8	
	8	1						9
	3	7	6					
9	2		7		4	3		
	6			2	3			

სტანდარტი

	9		8	3		5	4	
8					1			
	4		9	7	5		8	
	3		7					8
		2				3		
9					3		2	
	5		3	8	7		9	
			1					7
	7	8		5	9		6	

რთული

	2	5			1	9		
7				6			2	
	1		8			3		
			2	1				
3	4						1	2
				4	3			
		4			7		3	
	5			8				6
		7	5			1	9	

ექსპერტი

					2		6	
		3		1				8
		7	6			9		2
			7	2		6		
	1						2	
		5		4	6			
8		2			5	3		
7				3		4		
	4		1					

მუსიკა ტკბილად ესმის ადამიანებს

მშვიდი მუსიკა გულის კუნთებს ამაგრებს და შესაბამისად, ვინც ხშირად უსმენს მელოდიებს, გული ჯანმრთელი აქვთ, ვიდრე მათ, ვინც იშვიათად ტკბება ჰანგებით, — ამტკიცებენ სერბეთის უნივერსიტეტის მეცნიერები. მუსიკის მოსმენისას ტვინი ივსება ენდორფინებით („ბედნიერების ჰორმონებით"), რაც დადებით გავლენას ახდენს გულზეც — გულის სხვადასხვა დაავადების მქონე მოხალისეებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტთა სერიამ მეცნიერთა ეს თეორია დაადასტურა. მონაწილეები სამ ჯგუფად დაყვეს. პირველის წევრები დროდადრო ვარჯიშობდნენ, მეორე ჯგუფის წარმომადგენლები რეგულარულად ესწრებოდნენ ფიზკულტურის გაკვეთილებს და დღეში დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში მუსიკას უსმენდნენ, მესამე ჯგუფის წევრები კი გამუდმებით უსმენდნენ სხვადასხვა მელოდიას. სამკვირიანი ექსპერიმენტის შემდეგ მოხალისეების ფიზიკური მდგომარეობა შეამოწმეს — როგორც ვარაუდობდნენ, პირველ ორ ჯგუფში საერთო მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება შეამჩნიეს, ხოლო მესამე ჯგუფის მონაცემები გასაოცარი აღმოჩნდა.

ქლორი სიბერის წინააღმდეგ

სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ქლორის საოცარი თვისებები აღმოაჩინეს — ნივთიერება, რომელიც წყლის დეზინფექციისთვის გამოიყენება და ერთგვარი მათეთრებელი საშუალებაა, კანის დაბერების პროცესს აფერხებს. ნატრიუმის ქლორის აბაზანებს უკვე წლების განმავლობაში იყენებენ ეგზემის სამკურნალოდ, თუმცა აქამდე მისი თერაპიული ზემოქმედების მექანიზმი გაურკვეველი იყო. თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ ქლორი ანადგურებს ბაქტერიებსა და ვირუსებს, თუმცა სწავლულები მისი გამოყენების პროცესს აკვირდებოდნენ და ახლა ირწმუნებიან, რომ ქლორს შეუძლია კანის დაბერებაც შეაჩეროს. მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს NF-kB ცილებს, რადგან სწორედ მათ უკავშირდება ანთებითი და დაბერების პროცესები — ექსპერიმენტი მღრღნელებზე ჩატარდა, რომლებიც სხივური დერმატიტით იყვნენ დაავადებულნი. ერთ წლის განმავლობაში, ყოველდღე ქლორიანი აბაზანების ნახევარსაათიანი პროცედურების შემდეგ გაირკვა, რომ დაავადებამ უკან დაიხია; მოგვიანებით, ექსპერიმენტები ჯანმრთელ, მაგრამ ასაკოვან თაგვებზე გაგრძელდა და გაირკვა, რომ ასეთი პროცედურების შემდეგ მათი კანი ელასტიური გახდა. ამჟამად მკვლევარები ექსპერიმენტებს ადამიანების მონაწილეობით ატარებენ და იმედოვნებენ, რომ მალე მედიცინაში ახალ სიტყვას იტყვიან სიბერის წინააღმდეგ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

2	7	9	4	6	5	3	1	8
5	1	8	7	3	9	4	2	6
6	4	3	2	1	8	7	5	9
3	9	4	1	8	6	5	7	2
1	2	7	5	9	4	8	6	3
8	5	6	3	2	7	1	9	4
9	6	5	8	7	3	2	4	1
4	3	1	9	5	2	6	8	7
7	8	2	6	4	1	9	3	5

სტანდარტი

6	8	5	3	1	7	2	4	9
4	3	1	9	5	2	8	7	6
9	2	7	6	4	8	5	1	3
8	7	6	2	3	5	4	9	1
2	5	4	1	9	6	7	3	8
1	9	3	8	7	4	6	5	2
7	1	2	5	8	3	9	6	4
5	6	9	4	2	1	3	8	7
3	4	8	7	6	9	1	2	5

რთული

6	2	7	5	8	1	4	9	3
5	4	3	2	9	6	1	8	7
1	9	8	7	4	3	6	5	2
7	3	6	4	5	2	9	1	8
8	1	2	6	7	9	5	3	4
4	5	9	1	3	8	7	2	6
9	8	1	3	6	7	2	4	5
3	7	5	9	2	4	8	6	1
2	6	4	8	1	5	3	7	9

ექსპერტი

6	5	4	3	2	1	9	8	7
9	3	8	7	5	6	4	2	1
2	1	7	4	9	8	6	5	3
8	9	5	6	3	7	2	1	4
1	4	3	9	8	2	7	6	5
7	6	2	1	4	5	8	3	9
5	2	9	8	1	4	3	7	6
4	8	6	5	7	3	1	9	2
3	7	1	2	6	9	5	4	8

მე-9 გვერდი: 1. სტიქსი; 2. ტრიბუნალი; 3. ქოქოსი; 4. ანგარი; 5. ნაგანი; 6. ავესტა; 7. პიექსი; 8. რატუშა; 9. იბსენი; 10. ეგზემა; 11. ეკოლოგია; 12. ონდატრა; 13. ნეტო; 14. ქამი; 15. მურსია; 16. ნაიბი; 17. ტაი; 18. იაშინი; 19. ოინა; 20. ციკანი; 21. ირურეტა; 22. სტროფი; 23. ლუზერი; 24. კაკაო; 25. ლია; 26. შიო; 27. „ბმვ"; 28. კვადრიგა; 29. კუმისი; 30. არისა; 31. არმენ; 32. გურუ; 33. კენგურუ; 34. რეგისტრი; 35. სირია; 36. დოლი; 37. რასა; 38. დრეიფი; 39. სარიდანი; 40. კოღო; 41. ესმერალდა; 42. იმოლა; 43. ვიკინგი; 44. რაე; 45. აფსუს; 46. გულაბი; 47. ეგო; 48. შამილი; 49. ემისია; 50. მტლე; 51. ტიკინა; 52. ივანე; 53. ტოკატა; 54. რუ; 55. შერიდანი; 56. ტორერო; 57. ლეტო; 58. დეკა; 59. ადამი; 60. ბლუ; 61. ელი; 62. ილი; 63. „ამელი"; 64. კაი; 65. არა; 66. ართრიტი; 67. უდინე; 68. პოლკა; 69. დრიუ; 70. „ddt"; 71. ეტა; 72. სალამანდრა; 73. ადა; 74. ენა; 75. სოლომონ; 76. ვეტერანი; 77. რაი; 78. ნოტაცია; 79. ვაიო; 80. ყუა; 81. აკელა; 82. ფცა; 83. კანაპე; 84. ლალი; 85. ალენ; 86. ეტი.

ყავა ქალებისთვის მავნეა

ინგლისელმა ფსიქოლოგებმა, ფინჯანი ყავის დალევამდე და მის შემდეგ, ქალისა და მამაკაცის ქცევებს შორის განსხვავება დაამტკიცეს. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ეს გამამხნევებელი სასმელი საშუალებას აძლევდა, სტრესულ ვითარებაში ოპერატიულად და ეფექტურად ემოქმედათ, მამაკაცებს კი პირიქით, ყავა ფიქრსა და ლოგიკურ აზროვნებაში უშლიდა ხელს. სპეციალისტებმა ექსპერიმენტში 64 მოხალისე მიიწვიეს და ისინი 32 წყვილად დაყვეს. თითოეულ ადამიანს ოთხი ტესტი ელოდა, მანამდე კი 16 წყვილს ფინჯანი ყავა დაალევინეს, ხოლო დანარჩენმა მოხალისეებმა უკოფეინო სასმელი მიირთვეს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყავის გავლენით ქალები დავალებას სხვებზე 100 წამით ადრე გამკლავებოდნენ; რაც შეეხება კაცებს, კოფეინმიღებულთა რეაქცია სხვებისას 20 წამით ჩამორჩებოდა, მათ მეხსიერების ტესტში კი სრული ჩავარდნა ჰქონდათ. ამგვარად, სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ყავა აქვეითებს მამაკაცის ინტელექტს, სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის კი ეს სასმელი სასარგებლოა: ყოველდღიურად 4 ფინჯანი გამამხნევებელი, „ღვთიური სითხე" საშვილოსნოს ყელის კიბოს ააცილებს, ვინც დღეში 2-3 ფინჯანს მიირთმევს, 15%-ით ნაკლებად უტეევს დეპრესია, ვიდრე იმ ქალებს, ვინც იშვიათად სვამს ან საერთოდ არ ეკარება ყავას.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

უკრაინა ახალი რევოლუციის მოლოდინში

ოპოზიცია ვიქტორ იანუკოვიჩის გადადგომასა და ვადამდელ არჩევნებს ითხოვს!

კიევში საპროტესტო აქციები გრძელდება. ხელისუფლება სპეცრაზმს აძლიერებს და მოსახლეობა სისხლიან დარბევას ელოდება. ოპოზიციის მცდელობა, პოლიტიკური პროცესები ქუჩიდან საკანონმდებლო ორგანოში გადაეტანა, კრახით დამთავრდა. ოპოზიციის მიერ წარდგენილი პროექტი , რომელიც ნიკოლაი აზაროვის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას ითვალისწინებდა, მხოლოდ 186 დეპუტატმა დაუჭირა მხარი. უკრაინის კონსტიტუციის თანახმად კი მთავრობის გადასაყენებლად აუცილებელია 226 დეპუტატის ხმა.

რადაში სკანდალი მას შემდეგ დაიწყო, რაც უკრაინის მთავრობის მეთაური ნიკოლაი აზაროვი საკანონმდებლო ორგანოში მივიდა და თავისი გამოსვლა რუსულ ენაზე დაიწყო. ამას მოჰყვა ოპოზიციის მხარდამჭერებისა და დეპუტატების ხმაურიანი შეძახილი და აღშფოთება. ისინი აცხადებდნენ, რომ განვითარებული მოვლენების ფონზე, აზაროვის რუსულ ენაზე გამოსვლა უკრაინელი ხალხის დაცინვა და შეურაცხყოფაა. თავის მხრივ აზაროვმა განაცხადა, რომ უკრაინის მთავრობას არჩეული ევროპული კურსისგან არ გადაუხვევია, პრეზიდენტი იანუკოვიჩი შეხვდა შტეფან ფულეს და გადაწყდა, რომ უკრაინა გააგრძელებდა მოლაპარაკებას ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე.

„მორჩა, კარგად იყავით!“ — განაცხადა ნიკოლაი აზაროვმა ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობასთან ერთად, სხდომათა დარბაზი დატოვა.

პრეზიდენტი იანუკოვიჩი კი 3 დეკემბერს ჩინეთში ოფიციალური ვიზიტით გამგზავრებას გეგმავს. თუმცა შესაძლებელია მისი გეგმები შეიცვალოს, რადგან რადაში მთავრობის საკითხის ჩავარდნის შემდეგ, ოპოზიციამ მეიდანზე შეკრებილი მხარდამჭერები პრეზიდენტის ადმინისტრაციისკენ დაძრა. მათი განცხადებით, ხალხს სხვა გამოსავალი არ რჩება გარდა იმისა, რომ იანუკოვიჩს მთავრობის გადაყენება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მოსთხოვონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის ბლოკირებას გააგრძელებენ.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ კიევში მიმდინარე მოვლენების ფონზე გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა იანუკოვიჩის ადმინისტრაციის უფროსმა სერგეი ლევოჩკინმა, რომელიც აქციის დარბევას ეწინააღმდეგებოდა, თუმცა ლევოჩკინი აცხადებს, რომ მის განცხადებას პრეზიდენტი ხელს არ აწერს.

ოპოზიცია მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, არ დაარბიონ მშვიდობიანი დემონსტრანტები, შინაგან საქმეთა მინისტრმა კი პოსტი დატოვოს.

ხელისუფლება აცხადებს, რომ ოპოზიცია პროცესებს ვეღარ აკონტროლებს და სახეზეა ლეგიტიმური მთავრობის დამხობის მცდელობა. უკანასკნელი მონაცემებით, კიევში, დაახლოებით ასეულობით ათასი მოქალაქეა შეკრებილი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის პიკეტირებას მანამდე აპირებს, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.